ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№ 61 (11 210)

4 – 6 აგვისტო, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ექსდინამოელი „დინამოსთვის“ 700 000 $ ღირს!

ქართულ ფეხბურთს მძიმე პერიოდთან ერთად ახლა გადამწყვეტი ეტაპიც დაუდგა. ყველა თავისი ექსკლუზიურად დამახასიათებელი საშუალებებით ცდილობს თავისი სიმართლის დამტკიცებას. თვით ფეხბურთი კი გაყინულია და გალღობის ნაცვლად კიდევ უფრო მეტი გამყინვარებისკენ მიისწრაფვის – ჩვენი კლუბების ევროტურნირებზე გამოსვლა ამის ნათელი მაგალითია... ახლა აგერ სუპერთასიც გავითამაშეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით რომ, რაც დღეს გვაქვს შეიძლება მალე ესეც ხელიდან გამოგვეცალოს, უმძიმეს ხანაში კი ტვირთი ყველას თანაბრად როდი აწვება – ვისაც მაღალი სიმაღლეები უპყრია, იმისთვის უფრო მძიმე და ძნელია დაბლა ჩამოხტომა, თუმც საქმე აქ მხოლოდ ფიზიკის კანონებში როდია... თბილისის „დინამოს“ ახლა კი ყველა მხრიდან უტევენ. უტევენ სამართლიანად, უტევენ უსამართლოდაც და უტევენ კიდევ იმიტომ, რომ სფფ-ს ყრილობა ჯერ წინა გვაქვს. მურთაზ ხურცილავასაც, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო პერიოდში მოუხდა საქართველოს საკლუბო ფლაგმანის თავკაცობა. „არ შეიძლება ასე ხელაღებით ილანძღებოდეს დღეს თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა. რადგან ეს ახალგაზრდები დღეს გაუკეთბელ საქმეს აკეთებენ და „დინამო“ თუ არსებობს, სწორედ მათი დამსახურებაა. მაგრამ ზოგიერთები გაიძახიან, რომ თურმე, ახალკაცმა გვითხრა, ქართულ ფეხბურთში ოჯახური კლანების აღზევებას არ დავუშვებთ და ასე ცდილობენ ამ ხალხს ჩრდილი მიაყენონ. არადა, ეს ახალგაზრდები დიდ საქმეს აკეთებენ. 40 (!) ვეტერან ფეხბურთელს თვეში 80-80 ლარს აძლევენ, ჭირსა ლა ლხინში ერთნაირად მხარში უდგანან... რატომ ვართ ყველანი ცალცალკე, რატომ არ შეიძლება რომ ერთად ვიყოთ?“ – ასეთი გულისტკივილი გამოთქვა გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე მურთაზ ხურცილავამ და შემდეგ ჩვენს შეკითხვებსაც უპასუხა...

– „ვლაუნიასთან“ მატჩის შემდეგ ერთი ამბავი ატყდა. მე კრიტიკას არ გავურბივარ, კრიტიკა ხშირ შემთხვევაში დადებითად მოქმედებს ფეხბურთელებზე და პირადად ჩემზეც. მაგრამ ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ სულ ორი თვეა, რაც „დინამოში“ ვმუშაობ.

## პრესკონფერენცია

კარგ გუნდს კარგი ფეხბურთელები სჭირდება. ლიდერების გარეშე ფეხბურთი არ არსებობს. ისიც ნაღდია, რომ ფეხბურთში თავის გასამართლებელი მიზეზები არ უნდა ვეძებოთ. პროფესიონალმა ფეხბურთელმა ყველა გარეშე ფაქტორს უნდა გაუძლოს და ითამაშოს.

– როცა ფეხბურთელი ძალიან ბევრ საგოლე მომენტს აცუდებს, ეს უიღბლობა კი არა, არცოდნა გახლავთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჯერ მზად არ ვართ მაღალ დონეზე თამაშისათვის. ისე კი, ტირანაში გადამწყვეტი გოლები მსაჯის მიერ დამატებულ ცხრა წუთში გაგვიტანეს, ძალიან ცუდი მსაჯობა იყო. მაგრამ ყველაფრის თავი და თავი ქართული ფეხბურთის სავალალო მდგომარეობაა...

– სუპერთასის მატჩში ბათუმის „დინამოსთან“ რა თქმა უნდა, წაგება არ გვინდოდა, მაგრამ უფრო მაინც „ატლეტიკთან“ მატჩზე ვფიქრობდით. კიკნაძე და ივანე მახარაძე დღესდღეობით მოუმზადებლები არიან და მათი განსჯა ახლა არ ღირს. ისე, შეიძლება, რომ ორივემ ითამაშოს ბასკების წინააღმდეგ 12 ივლისს. პსჟ – „ატლეტიკის“ – მატჩის ვიდეოჩანაწერი კი გვაქვს, მაგრამ მხოლოდ ეს საკმაო ინფორმაციას ვერ მაძლევს ამ გუნდზე.

– კლუბის ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე საგანგებოდ გაემგზავრა თურქეთში, რათა როგორმე გოჩა ჯამარაული „დინამოს“ დაუბრუნდეს. საქმე კი მეტად რთულადაა – თურქები დაახლოებით 700 000 დოლარს ითხოვენ ექსდინამოელში, მაგრამ ჩვენი კლუბის დირექტორატი ყველაფერს აკეთებს ჯამარაულის დასაბრუნებლად. შეიძლება დავიმატოთ დავით გვარამაძე, რაც, რასაკვირველია, თანხებთან არის დაკავშირებული. იმისი პატარა შანსიც გაგვაჩნდა, რომ ცხადაძე, ნემსაძე და რ. ალველაძე დაგვებრუნებინა, მაგრამ ყველაფერი „დინამოს“ ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული. ამიტომ ეს არ მოხერხდა. დავით ჭიჭველიშვილი უკვე ჩვენთან გვყავდა, მაგრამ უცებ გაუჩინარდა და კვლავ ბათუმის „დინამოში“ აღმოჩნდა. არადა, თბილისის „დინამოსთან“ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს. ფეხბურთელი ერთობ გვჭირდება და მისი საკითხი ალბათ



მალე გაირკვევა საბოლოოდ.

– სოლოლაშვილმა კარგად ითამაშა თავისი პირველი მატჩები „დინამოში“. მეტად უკმაყოფილო ვარ ჩვენი ფორვარდებით, მათ უფრო მეტი უნდა გააკეთონ, შავ სამუშაოსაც არ უნდა მოერიდონ, ნახევარმცველებსაც მეტი გარჯა მართებთ, დღეს ხომ სულ სხვა ფეხბურთია...

– ფსიქოლოგიური ფაქტორი ბილბაოს „ატლეტიკთან“, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. მეტოქეს არ უნდა შევუშინდეთ, ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს პასუხი მკაცრად არ უნდა მოვთხოვოთ, რათა თავისუფლად, უკომპლექსოდ ითამაშონ ბასკების წინააღმდეგ. მთავარია არ შევრცხვეთ...

– ყველამ სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს კარგად ჰქონდეთ გათვითცნობიერებული, თუ რას ნიშნავს ბილბაოს „ატლეტიკის“ დამარცხება და თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა ჩვენი ქვეყნისათვის, ქართველი ხალხისთვის, რომელიც ბევრი პრობლემის და გაჭირვების წინაშე დგას...

– თუ რა ტაქტიკური სქემით ვითამაშებთ თბილისში „ატლეტიკის“ წინააღმდეგ, ვფიქრობ, ამაზე საუბარი დღეს უადგილოა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ „დინამო“ ორი ფორვარდით გამოვა მინდორზე.

დათო თავართქილაძე

## მარჯი საქართველოს!

# სამი მსოფლიო ჩემპიონი



**მოსკოვში,** მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებში წარმატებული გამოსვლის შემდეგ, ბერძნულ-რომაული სტილის ჩვენი ფალავნები თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრნენ და ჭეშმარიტად სენსაციურ წარმატებას მიაღწიეს, სამი მათგანი შინ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით ბრუნდება. ესენი არიან:

**ვანო ჩუბინიძე**
**(63 კგ, მარტყოფი)**

**გიორგი რურუა**
**(76, სოხუმი)**

**ილია ლეჟავა**
**(95, თბილისი)**

ასეთი წარმატებისათვის ჩვენს ფალავნებს ევროპისა და მსოფლიო რანგის შეჯიბრებებში არასოდეს მიუღწევიათ. შარშან ანალოგიური ასპარეზობაში ორმა ქართველმა მოიპოვა ოქროს მედალი-ლევან კეზევაძემ და გოჩა მინაძემ.

არადა, ბოლო წლებში აშკარად შეიმჩნეოდა წინსვლის ტენდეცია. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში იგულისხმება ყველა ასაკი- 1995 წელს 10 მედალი მოვიპოვეთ, 1996 წელს — 11, 1997 წელს — 13, წლეულს — 18, თანაც ამ სათვალავში არ შედის ახალგაზრდულ მსოფლიოს თამაშებში მოპოვებული ჯილდოები. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ ჯერ მხოლოდ წლევანდელი წლის 7 თვეა გავლილი.

იოჰანესბურგში, სადაც წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა საქართველოს ნაკრებს ახლდა მწვრთნელი ვკრავეიშვილი და მსაჯი თ.ყაზარაშვილი.

### ახლა ჯერი თავისუფალი ჭიდაობის წარმომადგენლებზეა:

**გუშინ,** თავისუფალ ჭიდაობაში 20 წლამდე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ლასვეგასში (აშშ) გაემგზავრა საქართველოს ნაკრები 7 სპორტსმენის შემადგენლობით. ნაკრები გუნდის მწვრთნელია ნუგზარ სხირელი. ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ოთარ თუშიშვილი (60 კგ), დავით ლეჟავა (65), გიორგი გობეჯიშვილი (70), თამაზ გეგეშიძე (83), დავით ტურაშვილი (90), ალექსანრე მოდებაძე (115).

## ჩვენი მეტოქის ბანაკში

ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოს“ მეტოქე ბილბაოს „ატლეტიკი“ წინასასეზონო მზადებაზეა საფრანგეთში, სადაც იქაურ უძლიერეს კლუბებთან ამხანაგურ მატჩებს მართავს.ბასკებმა უკვე ითამაშეს პსჟ-ს, „ბორდოს“ და „ლიონის“ წინააღმდეგ და სამივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

„ატლეტიკის“ მთავარი მწვრთნელი ლუის ფერნადესი აშკარად კმაყოფილია გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობით. აგვისტოს ბოლოს ესპანეთის ჩემპიონატის დასაწყისისათვის ბიჭები სათამაშო კონდიციებს მთლიანად აღიდგენენ, ხოლო ევროტურნირში თბილისის „დინამომ“ არა მგონია რაიმე პრობლემა შეგვექმნასო.

## ქაბუკმა ფეხბურთელებმა სამსუნში ცემით თანატოლი მოკლეს

**სააგენტო პრაიმ-ნიუსმა შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა:**

„14-16 წლამდე ასაკის შვიდმა ნორჩმა ქართველმა ფეხბურთელმა, თურქეთის შავიზღვისპირა ქალაქ სამსუნში, წითელი ჯვრის ახალგაზრდულ სპორტულ ბაზაზე, სასიკვდილოდ სცემა თურქი მოზარდი.

შვიდივე ქართველი დაპატიმრებულია. ბაზაზე მყოფ დანარჩენ 17 ქართველ ფეხბურთელს სამშობლოში დააბრუნებენ. წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს.

ცემისაგან დაღუპული 14 წლის თარიქ ქარაელის მამას განზრახული აქვს სასამართლოში უჩივლოს ადგილობრივ წითელ ჯვარს. „ბაზის ხელმძღვანელობა რომ მოვლენებში დროულად ჩარეულიყო, ჩემი შვილი ცოცხალი გადარჩებოდა“ – განაცხადა მან.

* * *

„ლელოს“ რედაქცია მომხდართან დაკავშირებით სხვადასხვა უწყებას დაუკავშირდა. ყველგან ფაქტს აღიარებენ, მაგრამ დაწვრილებით, ჯერჯერობით, არავინ არაფერი იცის.

***თურქეთის საელჩო საქართველოში:*** „დიახ, გავიგეთ და მეტი არაფერი. დაუკავშირდით ანკარაში საქართველოს საელჩოს ან საგარეო საქმეთა სამინისტროს.“ ***საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია:*** „რამდენადაც ვიცით, გუნდი ქუთაისიდანაა წასული. სხვა

იხ. მე-4 გვ.

### დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფეხბურთის ვეტერანი ***შალვა კაკაბაძე*** დაჯილდოვდა ***ღირსების ორდენით.***

## შ. არველაძე – ქინქლაძის ბანდები გახოკიძის წინააღმდეგ

დიდი ხანი არაა, რაც ვიტყობინებოდით, გიორგი ქინქლაძის ამსტერდამის „აიაქსში“ გადასვლის თაობაზე.

გუშინ კი, კიდევ ერთი გასახარი ამბავი შევიტყვეთ – ეროვნული ნაკრებისა და „ალანიას“ ნახევარმცველმა გოგა გახოკიძემ პსვ „ეინდჰოვენთან“ გააფორმა კონტრაქტი

ამრიგად, უკვე 16 აგვისტოს იოჰან კრუიფის სახელობის თასზე ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან „აიაქსი“ და პსვ „ეინდჰოვენი“, შესაბამისად, შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე გოგა გახოკიძის წინააღმდეგ.



დასრულდა Tour de France-ს რიგით 75-ე გათამაშება ველორბოლაში, რომლის ბოლო, XXI ეტაპის ფინიში პარიზში, ელისეს მინდვრებზე მოეწყო. შეჯიბრების ამ მონაკვეთზე უძლიერესი ბელგიელი ბობ სტიილზი იყო, შემდეგ ადგილებზე გავიდნენ იტალიელი ძანინი და ავსტრიელი ო'გრეიდი. საერთო ჩათვლაში ბოლო ეტაპის შედეგის მიუხედავად პირველი ადგილი დაისაკუთრა იტალიელმა მარკო პანტანიმ, მას, მნიშვნელოვნად ჩამორჩა ასპარეზობის შარშანდელი გამარჯვებული, გერმანელი იან ულრიხი. ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ამერიკელი ბობ ჯულიჰი. ელისეს მინდვრებზე ბედნიერი პანტანი შამპანურით გაწუწეს – 33 წელია ამ შეჯიბრებაში იტალიელ მრბოლს არ გაუმარჯვია.

საკუთარი ინფორმაცია

## VII თვის მონაგარი

მეტწილად, ივლისი, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლექსური სპორტული ასპარეზობების თვეა ტრადიციულად. პირველი მსოფლიო ახალგაზრდული სპორტული თამაშები, რომელსაც მოსკოვმა უმასპინძლა, სწორედ ივლისში ჩატარდა. ჩვენც თვის მონაგარის მითვლას ამ უდიდეს ასპარეზობაში მოპოვებული შედეგებით დავიწყებთ. 17 მედალი და VI ადგილი 131 ქვეყანას შორის — ჭეშმარიტად საამაყო წარმატებაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამას მიაღწია შინა ომგამომვლილმა თაობამ, თაობამ, რომელმაც საკუთარ თავზე გამოცადა თუ რა არის შიმშილი, სილატაკე, სიცივე და, საერთოდ, ყველა ის უბედურება, რაც ბოლო წლებში დაგვატდა თავს. აშკარაა, რომ სპორტის მუშაკთა პატრიოტული გარჯით ქართული სპორტის შერყეული ბალავარი კვლავ მტკიცდება, რაც ივლისში მოზარდ სპორტსმენთა სხვა შეჯიბრებებმაც დაადასტურა. კადეტთა მსოფლიო პირველობაში ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ქ. მანჩესტერში მესამე გუნდური ადგილი დაიკავეს, წარმატებით იასპარეზეს საერთაშორისო სარბიელზე მოჭადრაკეებმა, მკლავჭიდელებმა, ლაშა ჩანადირმა, აკრობატმა ვეფხია ხუბაევმა, სხვა სპორტსმენებმა თუ ახალგაზრდა გუნდებმა.

ჩვენმა სახიქადულო ნინო სალუქვაძემ ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია პისტოლეტის 25 მ სროლაში. თბილისში წარმატებით ჩატარდა და კვლავ იბრუნებს ავტორიტეტს გ.კარტოზიას და ვ. ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირები, სადაც გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის ყველაზე სოლიდურად მასპინძლები იყვნენ წარმოდგენილნი. ფოთმა კვლავ დაიბრუნა მსოფლიოში წყალსათხილამურო სპორტის ერთ-ერთი საინტერესო ცენტრის სახელი, რასაც აქ გამართულმა საერთაშორისო ტურნირმა შეუწყო ხელი.

ივლისში გახდა ცნობილი, ჩვენს კალათბურთელს ვლადიმერ სტეფანიას ნბა-ში თამაშის შესაძლებლობა ეძლევა. მსოფლიო ჩემპიონმა კროვში გიორგი კანდელაკმა კი პირველად მოსინჯა ძალა პროფესიონალებში და წარმატებითაც.

საქართველოს პირველობებთან ერთად, ივლისში გაიმართა აფხაზეთის ლია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, ქობულეთში გრძელდებოდა საჭადრაკო ფესტივალი, ჩატარდა ინვალიდთა სპორტული შეჯიბრებები, დაფუძნდა კალათბურთის აკადემია და ძმებ არველაძეების სახელობის

იხ. მე-2 გვ.

# წარმატებული ნახტომი ტანვარჯიშიდან – აკრობატიკაში



სტავროპოლში, მეოთხედ ჩატარდა უკვე ტრადიციულად ქცეული საერთაშორისო ტურნირი აკრობატიკაში გაზეთ „ვეჩერნი სტავროპოლის“ პრიზზე, რომელშიც პირველად მონაწილეობდა საქართველოს წარმომადგენელი. ეს იყო 20 წლის ვეფხია ხუბაევი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, აქვს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება, მაგრამ ასეთი წარმატებისათვის, დიდ არენაზე, მანამდე არასოდეს მიუღწევია, მით უფრო, რომ სტავროპოლში გამარჯვებისთვის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებიც იბრძოდნენ და პრიზებიც სოლიდური იყო დაწესებული.

ვეფხია და მის მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი რედაქციაში გვეწვივნენ.



— ეს ტურნირი საერთოდ, მაღალი დონისა და ხიძლიერის ასპარეზობაა. სექტემბერში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება გერმანიაში და „ვეჩერნი სტავროპოლის“ პრიზზე მონაწილეობა ყველას მოსამზადებელ ეტაპად მიაჩნდა. ცხადია, ჩვენც ვისახავდით კონკრეტულ მიზანს — ამბობს მწვრთნელი.

● ***მაინც რა ამოცანას ისახავდით?***

— მედალს ვგეგმავდით, თუმცა უმაღლესი სინჯისას არა. სჯობს თავად ვეფხიამ გიპასუხოთ.

*ვეფხია ხუბაევი:* პირველ ადგილს ნამდვილად არ ველოდი.

● ***რამ განაპირობა ასეთი წარმატება?***

*ჯუმბერ ლაშხი:* ჯერ ის მინდა გითხრათ, რომ, ჩვენი სპორტის დეპარტამენტის ფედერაციის და ტანვარჯიშის სახეობათა სპორტსკოლის ხელშეწყობით, ტურნირამდე 10 დღით ადრე, ჩავედით სტავროპოლში და საშუალება მოგვეცა წვრთნისა და კვების კარგ პირობებში გვევარჯიშა. ტურნირი მხოლოდ ხტომებში ჩატარდა.

● ***ვეფხია, როდის იგრძენი, რომ ლიდერი გახდი და ალბათ ფიქრიც დაიწყე პირველობაზე...***

— მეორე ვარჯიშის შემდეგ.

● ***რა მოხდა?***

— ძლიერი კომბინაცია უშეცდომოდ შევასრულე და მეტოქეები შედრკნენ. მესამე და ბოლო ვარჯიში კი სტადიონზე გადაიტანეს და შოუს ნაწილად აქციეს. აქ უკვე თავდაჯერებული გამოვედი, თანაც ლიდერი ყოველთვის ბოლოს გადის არენაზე და მეტოქეთა შეფასებები ვიცოდი.

*ჯუმბერ ლაშხი:* როცა ბოლოს გამოდიხარ კარგი იმითაცაა, რომ ვარჯიშის არჩევანის საშუალებაც გაქვს — თუ გისწრებენ მეტოქეები რთულ და მაღალქულიან ვარჯიშს აირჩევ, რაც თავისთავად მომატებულ რისკთანაა დაკავშირებული. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ამის აუცილებლობა აღარ იყო და ისეთ ვარჯიშზე შევჩერდით, სადაც სტაბილური შედეგის მიღწევა შეიძლებოდა. თავი დავიზღვიეთ, გაამართლა კიდეც.

● ***თქვენ, როგორც მწვრთნელი, ბოლო წლებში არ ჩანდით, რა იყო მიზეზი?***

— ერთხანს ჩინეთში ვიმუშავე, დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ ნოსტალგიამ მძლია და შინ დავბრუნდი.

● ***კმაყოფილი დარჩნენ თქვენი მუშაობით ჩინელები?***

— დიახ, ერთი გოგონა ხტომებში ჩინეთის ჩემპიონი გახდა, ერთი ბიჭი კი მეორე ადგილზე გავიდა. იმას არ ვამბობ, რომ ისინი ჩემს ხელში აღიზარდნენ, მე მომზადებულ სპორტსმენებთან ვმუშაობდი მათ დაოსტატებაზე.

● ***შინ დაბრუნებული, როგორც ჩანს, ისევ აკრობატიკას დაუბრუნდით...***

— ხომ იცით რა მძიმე წლები იყო ჩვენში წარსულში. ისევ მოვუხმე ჩემს ყოფილ შეგირდებს. ვეფხია კი ტანვარჯიშიდან გადმოვიდა.

● ***წვრთნის პირობები გაუმჯობესდა?***

— დიდად არა. მთავარია, გადაწყდეს ზამთარში დარბაზის გათბობისა და სახტუნაო ბილიკის პრობლემა. სპორტსმენებს ჰქონდეთ ვარჯიშზე მოსვლის ფული და მოგვარდეს კვების საკითხი, მიგვავლინონ საერთაშორისო შეჯიბრებებზე. სახტუნაო ბილიკი თუ დროზე არ შევიძინეთ, აკრობატიკა საერთოდ ჩაკვდება საქართველოში.

● ***ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატისთვის თბილისში ასეთ პირობებში როგორ მოემზადებით...***

— ევროპის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატია, დარწმუნებული ვართ, და ეს ვეფხიასაც სჯერავს, რომ ამ ჩემპიონატიდან უმედლოდ არ დავბრუნდებით, ოღონდ შეკრება ან კრასნოდარში ჩაგვიტარონ ან სტავროპოლში, მსოფლიოში აკრობატიკის ყველაზე ძლიერი ცენტრები სწორედ რუსეთის ამ მხარეებშია.

ესაუბრა
მიხეილ ფუფუნავა

## VII თვის მონაგარი

(პირველი გვერდიდან)

კლუბი, საქართველოში სუმოს დანერგვის თაოსნებმა კი საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა ჩაატარეს და ჩვენში ამ მომავალი ოლიმპიური სახეობის დაფუძნების გადაწყვეტილება მიიღეს.

ივლისის საფეხბურთო ცხოვრებაც საინტერესო გამოდგა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, ყველა ქვეყანა თავის პრობლემებს მიუბრუნდა. ჩვენში, კვლავ ყურადღების ცენტრში იყო სფფ-ს ყრილობა, რომელიც დიდი ვნებათაღელვის შემდეგ, ოქტომბრისათვის გადაიდო. საგულისხმო მაინც ის არის, რომ ეს გახდა საბაბი, რათა სპორტის დეპარტამენტს და სფფ-ს ერთმანეთისაკენ შემხვედრი ნაბიჯი გადაედგათ.

რაც შეეხება ჩვენი საფეხბურთო კლუბების გამოსვლას ევროტურნირებში, აქ აშკარა სირცხვილი ვჭამეთ და ახლა თბილისის „დინამოში“ რადიკალური ზომები ტარდება კლუბის გასაძლიერებლად.

ცხადია, ქართულ სპორტს ივლისშიც თან სდევდა ზოგადი პრობლემები, რაც პირდაპირ კავშირშია ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ჯერ კიდევ მოსაგვარებელ საკითხებთან.

* * *

მკითხველთა თხოვნით, „ლელოს“ შემდეგ ნომერში გამოვაქვეყნებთ მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებში მედლების ქვეყნების მიხედვით განაწილების სრულ ნუსხას.

## ვაჟა სამადბეგიშვილი – თვის საუკეთესო სპონსორი

მკლავჭიდში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში ჩატარდა მსოფლიო ახალგაზრდული თამაშების დღეებში. უსახსრობის გამო მკლავჭიდის ფედერაციამ ვერ მიავლინა გუნდი ამ ასპარეზობაზე, მაგრამ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდის დაფინანსება ყოფილ სპორტსმენს, ამჟამად ფირმა „იტერასაქართველოს“ წარმომადგენელს ვაჟა სამადბეგიშვილს სთხოვა და მანაც უყოყმანოდ დააფინანსა თბილისელი ლაშა ჩანადირი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო მარცხენა ხელით ასპარეზობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

# ტელეფაქსი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ბატონ პრეზიდენტს
I. V. ბატონი ალექსანდრე ჩივაძე

აუგსბურგი, 25 ივლისი, 1998.

ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე
ფკ მრეტები თბილისი/ფკ დინამო თბილისი/ფკ მანჩესტერ სითი/ფკ აიაქს ამსტერდამი.

● *ვისია სფფ?*
● *„სფფ-ს თამაში-98“*
● *მრეტები მოკვდა! გაუმარჯოს მრეტებს!*
● *როგორ მოვიპაროთ მილიონი*
● *მრეტების მოთხოვნები*
● *ვინართმევს ფულს ქართულ ფეხბურთს?*
● *სფფ-ს მომავალი კონგრესის შესახებ*

დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო.

სფფ-ს პოზიცია, თავისი 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ფკ მრეტები თბილისის ხელმძღვანელობა — დამფუძნებლების აზრით, დიდი ხანია გასცდა კანონიერის, ზნეობრივის და, ამდენად, ქართული ფეხბურთის ინტერესების საზღვრებს. ყოველივე ამას ჩვენ ამ წერილში ვცხადყოფთ.

თქვენს ყურადღებას წინასწარ მივაპყრობთ შემდეგს: ამ წერილის ასლი, ჯერ-ჯერობით, ფიფა-სთვის არ გაგვიგზავნია. რაც შეეხება პრესას, ამ ეტაპზე კვლავ მხოლოდ ქართულ პრესას შევეხმიანეთ, რომელსაც ჩვენ გულწრფელად ვუკრავთ ტაშს — ქართულმა მასმედიამ არა ერთხელ გაგვაოცა კარგი კუთხით.

ჩვენ დაველოდებით ჩვენს მიერ ამ წერილში დაყენებულ მოთხოვნებზე თქვენს რეაგირებას და შესაბამისად გადავდგამთ შემდეგ ნაბიჯს.

## ვისია სფფ?

ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც ფკ მრეტები თბილისი პირადად თქვენ მოგმართავთ, დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამის მიზეზსაც ამთავითვე მოგახსენებთ.

დღემდე ჩვენ, წესისამებრ, ყოველთვის სფფ-ს გენერალურ მდივანს ბატონ დავით კვინიკაძეს მივმართავდით. მაგრამ ბატონი გენერალური მდივანი, საერთოდ და თავისთავად ზემოაღნიშნულ საკითხზეც, ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის და ხაზგასმით აცხადებს:

„მე კანონებში ჩამჯდარი კაცი ვარ და ვიმეორებ, ფედერაციის გადაწყვეტილებებს ვასრულებ, გამიგეთ, მე მხოლოდ შემსრულებელი ვარ ( ალია, 16.07. 1998).

ჩვენ აქვე დავუსვამდით წერტილს ბატონი გენერალური მდივნის თემას, რომ არა რამდენიმე გარემოება.

გარემოება პირველი. ბატონი გენერალური მდივნის განცხადებაში იქვე შეაქვს ეჭვი ალიას. ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს სარბიელის კომენტარი: „დ. კვირიკაძე — შესაშური დიპლომატიის პატრონი, უდავოდ ძლიერი პიროვნება, ამ ბრძოლაში ჯერაც გაუშიფრავი რჩება. მან ზედმიწევნით კარგად იცის ფარული ბრძოლის წესები“ (სარბიელი, 22.07.1998).

გარემოება მეორე. ბატონი გენერალური მდივანი სფფ-ს ურჩებს აფრთხილებს. „ჩვენი თამაში უნდა ითამაშონ, თორემ...“ 11X11, 23.05.1998.

გარემოება მესამე, ბატონი გენერალური მდივანი მწიგნობარი კაცი და თურმე „ბრაჰმან დანდამისის დიდი ტრფიალი გახლავთ. დანდამისი სოკრატეს, პითაგორას და დიოგენეს შესახებ ბრძანებდა, ეს ვაჟკაცები მეტისმეტ თაყვანს სცემდნენ კანონებსო“. (ვ.ჩ. გამოუქვეყნებელი წიგნიდან)

გარემოება მეოთხე. ფკ მრეტები თბილისს და მისს დამფუძნებლებს, 1990 წლიდან დღემდე პერიოდში, არაერთგზის შეუნიშნავს სფფ-სთვის, რომ სფფ-ს წევრმა კლუბებმა „სფფ-ს თამაში“ კი არა, ფეხბურთი უნდა ითამაშონ და მხოლოდ კლუბი — ეროვნული ფედერაცია — კონფედერაცია — ფიფა-ს ინსტიტუტების წეს-კანონების მიხედვით.

ძნელი გასაშიფრია, „ფარული ბრძოლის დიდოსტატს, რესპუბლიკის საფეხბურთო სამყაროს პირველ ფუნქციონერს“ (გარემოება პირველი), ურჩითა მოძულეს (გარემოება მეორე) და დანდამისის ტრფიალს (გარემოება მესამე), ბატონ გენერალურ მდივანს რომელ სიაში ჰყავს „მრეტები“ (გარემოება მეოთხე). შავ ურჩითა სიაში თუ თეთრ — კანონის თაყვანისმცემელთა სიაში!

საბოლოო ჯამში, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, თუ რომელი კლუბი, რომელ სიაში მოხვდება. რადგან ზემოაღნიშნულ საკითხზე ბატონ ნოდარ ახალკაცს, ბატონ ვაჟა ჩხაიძეს და ბატონ დავით კვინიკაძეს შორის პაექრობა ასე დამთავრებულა (ვ.ჩ. გამოუქვეყნებელი წიგნიდან).

„ნოდარ ახალკაცი: სოკრატეს დროს ფეხბურთს არ თამაშობდნენ!

ვაჟა ჩხაიძე: პელე და მარადონა დახაზულ მოედანზე იბადებიან!

დავით კვინიკაძე: ამას წინათ თეთრი და შავი ცხვრის ანეგდოტი მიამბეს...“

ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა დიპლომატ ხელმძღვანელს, თუ მისი გონება ერის მიერ მისთვის მინდობილი საქმის სიყვარულით არის განმსჭვალული და არ ირღვევა კანონები. და არ იჩაგრება კანონიერი ინტერესები.

მაგრამ ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს ნამდვილად არ ეკადრება ასეთი განცხადებები:

„პირიქით, ჩემი და მთლიანად სფფ-ს სურვილია ამ საქმეში ქართულმა ფეხბურთმა გაიმარჯვოს, თუმცა. „მრეტების“ მხარეს, ჯერჯერობით, უფრო დამაჯერებელი ფაქტები მოჰყავს. საქმესაც უფრო სოლიდურად წარმართავს.“ 11X11, 18.05.1998.

„ასე გაწირეს საბჭოთა საქართველოში თბილისის და კუთხეების ყველა.გუნდი და ქართული ფეხბურთი თავკომბალას დაამსგავსეს. დღეს კი ერთი გუნდის ჩემპიონატი უკვირთ.

სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება, „ერთის მრავალფეროვნების“ ქართული პრინციპის მისთვის დამღუპველი „ერთის ერთადერთობის“ პრინციპით. ჩანაცვლების პროცესი. (ვ.ჩ. გამოუქვეყნებელი წიგნიდან).

აქვე უნდა ითქვას, 1994 წელს გაცემულ ცნობებსა და რეკომენდაციებში სფფ და ბატონი გენერალური მდივანი სულ სხვანაირად წერდა „მრეტების“ შესახებ დასავლეთევროპელ და ამერიკელ ბიზნესმენებს (ერთვის წერილი და ცნობა):

„ფკ მრეტების დაკარგვა, ისიც დროებითი ფინანსური სიძნელეების გამო, დიდი დანაკლისი იქნება არა მხოლოდ ქართული ფეხბურთისთვის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გთხოვთ მხარში დაუდგეთ ფკ მრეტებს: გაუწიოთ ფინანსური დახმარება და (ან მისცეთ კრედიტი და) ან შექმნათ ერთობლივი კლუბი...“. სფფ-ს 08.04.1994, №03/82 მიმართვა ფკ იგელზის აშშ სპონსორის ამერიკელი ბიზნესმენის ბატონ ბილ შუბინისადმი.

იმ დროს სფფ-ს და ბატონ გენერალურ მდივანს არც იმაში ეპარებოდათ ეჭვი. „დინამო“ რომ „დინამო“ იყო! „მრეტები“ რომ „მრეტები“ იყო! ვაჟა ჩხაიძე რომ ვაჟა ჩხაიძე იყო და არა საერთაშორისო აფერას მაესტრო!

### იბეჭდება უცვლელად, ჩაუსწორებლად

ჩვენ ვფიქრობდით ამჯერად იქნებ სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტისათვის ბატონი ნოდარ ანდრიაძისთვის მიგვემართა, რადგან საკითხთან დაკავშირებით მისი განცხადებები თავიდანვე სამართლიანი იყო.და ასეა დღესაც („დინამოს“ საბუთებში „ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანს“ 11X11. 08.06.1998), მაგრამ ბატონი ვიცე-პრეზიდენტი ამაზე შორს არასოდესს მიდის.

ამდენად, საკითხზე სფფ-ს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, ჩვენ სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ პირადად თქვენ მოგმართოთ, დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, აღარ დაგვრჩა. თუმცა ეს ჩვენთვის ადვილი საქმე არ გახლავთ, რადგან ერთის მხრივ. ჩვენ თქვენი, როგორც ფეხბურთელის, დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ, რის გამოც დღემდე ყოველნაირად გერიდებოდით, ხოლო მეორეს მხრივ, სრულიადაც არ გვხიბლავს თქვენი, არც როგორც ვიცე-პრეზიდენტის და არც როგორც პრეზიდენტის სრულიად პასიური პოზიცია ზემოაღნიშნული საკითხის მიმართ.

მითუმეტეს, არ გვახარებს ფაქტი, რომ ქართული პრესა, სფფ-ს მომავალ კონგრესთან დაკავშირებით, თქვენ, როგორც სფფ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, ასევე სფფ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატთან, ფკ დინამო თბილისის პრეზიდენტთან წინასაარჩევნო ალიანსში მოგიხსენიებთ.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ არჩევნებში თქვენი, ასე ვთქვათ, ტანდემის გამარჯვების შემთხვევაში, ფკ მრეტები თბილისის მსგავსი ცივილიზებული მენტალიტეტის კლუბებს სფფ-სთან ელემენტური ურთიერთობის საშუალება არ ექნებათ. თავად განსაჯეთ, რა ენაზე უნდა იურთიერთოს სფფ-ს წევრმა კლუბმა სფფ-სთან, ფიფა — კონფედერაცია — ეროვნული ასოციაციის ინსტიტუტების წეს-კანონების ენაზე თუ ქუჩის ენაზე? აი, კიდევ ერთხელ და ამჯერად ერთად გადავხედოთ ქართულ პრესას და თქვენ თავად განსაჯეთ (ლელო, 27.30. 12.1997; 11X11, 31.12.1997):

„ახლა ასეთ კითხვას დაგისვამთ – ერთ მხარეს რომ ახალკაცი და ჟორდანია იდგნენ, მეორეზე კი აუგსბურგი და ვინმე ბოიმელი, როგორ ფიქრობთ, რომელი მოერევა?“

„ნებისმიერ შემთხვევაში გვერდზე უნდა დაგვდგომოდნენ — არ არის დანამო მართალი, მინდა რომ იყოს! შენ გადამთიელი ხარ და არ გაძლევ ფულს“.

„თუ ახალკაცი ჩემს პოზიციაზე დადგება, შევძლებთ ამ საქმის მოგებას“;

და ეს „საქართველოს გამარჯვება იქნება“-ო!

(და ამის შემდეგ თქვენ ევროპა და უცხოური ინვესტიციები გსურთ?!)

დიახ, დამნაშავე „დინამო“ საქართველოა. მართალი „მრეტები“ — გადამთიელი!

დიახ, ერთი ჟორდანია ქართულ ფეხბურთს აშენებდა, მეორე — ანგრევს!

დიახ, ერთი ქართველი ევროპის გამყოფ კედელს ანგრევს, მეორე — ამ კედლის ხელახლა აშენებას ცდილობს!

დიახ, არა მხოლოდ პიროვნულ მასშტაბებშია განსხვავება.

აღნიშნულის გამო, ჩვენ დღეს თქვენ გთხოვთ პასუხს, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი დღეს თქვენ ბრძანდებით.

დიახ, ის თავკაცი, ვისთანაც საშამ — მსოფლიო არენაზე ასპარეზობისას ჩადენილი ერთი უნებლიე შეცდომისათვის მოწინააღმდეგის მთელ გუნდს მარტო რომ უსწორებდა ანგარიშს — პირწმინდად წააგო.

დიახ, დიდი ლიბერო პატარა თამაშს — „სფფ-ს თამაშობანას“ თამაშობთ.. ყველაზე კარგ შემთხვევაში, თქვენ თვალხუჭობანას თამაშობთ.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ, ფკ მრეტები თბილისის პარტნიორთა საბჭო მოგმართავთ საკითხზე სფფ-ს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით — ქართული ფეხბურთისა და ქვეყნის წინაშე. დიახ. სფფ-ს გამოისობით, საკითხი უკვე გასცდა ფეხბურთის საზღვრებს.

*(გაგრძელება იქნება)*

## სხვადასხვა მერიდიანზე

**ჩოგბურთი.** ლოს-ანჯელესში გაიმართა „მერსედეს-ბენცის“ თასის ფინალური შეხვედრა, სადაც მასპინძელმა ანდრე აგასიმ 6:4, 6:4 სძლია ინგლისელ ტიმ ჰენმანს.

**ამერიკული ფეხბურთი.** იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ერთმანეთს შეხვდნენ ტად-ის ცნობილი გუნდები „გრიინ ბეი პაკერსი“ და „კანზას სიტი ჩიიფსი“. გაიმარჯვეს კანზასელებმა 24-21.

**გოლფი.** შვეციაში გაიმართა „ვოლვოს სკანდინავიის ღია“ პირველობა, სადაც მასპინძელმა პარნევიკმა იმარჯვა, მეორეზე ჰოლანდიელი კლარკი გავიდა.

**კეტბურთი.** MLB „მეიჯერ ლიგ ბეისბოლ“-ში გაიმართა მორიგი შეხვედრები: „ტეხას რეინჯერსი“ — „ჩიკაგო ვაით სოქსი“ 8:1, ლოსანჯელოს დოჯერსი“ — „ნიუ იორკ მეტსი“ 1:2, „სენი ლუისი“ — „ატლანტა“ 1:3, „ბოსტონი“ — „ანაჰაიმი“ 11:3.



## „ტოტო-ლოტო“ – მოთამაშეთა სიხარული!

*2 აგვისტოს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეთოთხმეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6–42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვები: **8. 13. 19. 21. 30. 40.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 492.90 ლარი.
4 ციფრი – 9.60 ლარი.
3 ციფრი – 1.60 ლარი.

**„ჯეკ“-პოტი“ 48.007 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **6831922**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 9 აგვისტოს, ჯეკ-პოტი **48.007** ლარი.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი






# კბილის ტექნიკოსმა ოლიმპიური ოქროს მედალიც „ჩამოასხა“

## რაფაელ ჩიმიშკიანი

პასტერის ქუჩაზე — პლეხანოვის პროსპექტის სიახლოვეს — ეზო არ დარჩენილა პატარა რაფო რომ არ ამძვრალიყო ხეზე. ხან მეზობლის ნუშზე იჯდა, ხან კაკალზე. საკუთარ ეზოში უზარმაზარ თუთაზე ხომ ტოტი არ იყო მისგან „აუთვისებელი“. ის იყო მხოლოდ, რომ პატარა ბიჭს შარვალი ეფხრიწებოდა ხშირად და დედ-მამისაგან კარგად ხვდებოდა ხოლმე. კიდევ ხტომა უყვარდა, ჭიდაობა და ფეხბურთი. „პაიჭაძეობაზე“ ოცნებობდა, სწრაფი იყო, ციბრუტივით მოძრავი, ბურთით წინ გაჭრილს ძნელად თუ დაეწეოდა ვინმე.

უბნის ბიჭები თანდათანობით ფიზკულტურელთა პარკში სიარულს გაეჩვიენ, სანაპიროზე. რომ იყო ცირკთან. საათობით ადევნებდნენ თვალყურს მოცურავეთა და წყალბურთელთა ვარჯიშს. თავად არც ცურვა იცოდნენ ხეირიანად და ცხადია, არც წყალბურთისა გაეგებოდათ რა. აი ჭიდაობით კი ყველა ჭიდაობდა. ასეთი თამაშიც კი მოიგონეს: გამარჯვებული დამარცხებულს ხელში აიტაცებდა და აუზში გადაუშვებდა პირდაპირ ტანისამოსიანად. ვალენტინ იანკოვსკი ბიჭების თანატოლი იყო, თუმცა რაფოზე ორჯერ მაღალი იქნებოდა ალბათ. ერთხელ მეგობარს უთხრა: „მოდი ვიჭიდაოთ, თუ წამაქცევ და წყალში ჩამაგდებ, ძალოსანთა სექციაზე წაგიყვან, ბესიკის ქუჩაზეო“. რაფომაც მოხდენილი სარმა გამოსდო გოლიათს, მერე უცებ ჰაერში აიტაცა ნაფოტივით და წყალში გადაისროლა — კიდევ კარგი რომ იმან მაინც იცოდა ცურვა. „პრიზად“ დინამოელი შტანგისტების მწვრთნელთან პაველ გუმაშიანთან მიიყვანა. ცნობილმა სპეციალისტმა იქვე სახელდახელო გამოცდა მოუწყო ახალგაზრდას. რაფომ პირველსავე მისვლაზე უვარჯიშოდ 40 კილოგრამი აჭიმა, მაშინ, როდესაც თავად სულ 10 კილოგრამით მეტს იწონიდა. მეცხრეკლასელს, ის იყო 16 წელიწადი შეუსრულდა.

ასეთი რამ მხოლოდ ზღაპარში თუ ხდება: რაფაელ ჩიმიშკიანი ზუსტად 3 თვის შემდეგ საქართველოს ნაკრებში საკავშირო გუნდურ პირველობაზე წაიყვანეს გორკში. ახალბედა შტანგისტი სიამაყით და მოკრძალებით შეჰყურებდა სახელგანთქმულ ათლეტებს — მამია ელენტს, ვლადიმერ სვეტილკოს, მოისეი კასიანიკს. ტურნირზე ჩასულმა ახლოს გაიცნო ლეგენდარული გრიგოლ ნოვაკი, გოლიათი სერგო ამბარცუმიანი, პირველი საბჭოთა მსოფლიო რეკორდსმენი ნიკოლაი შატოვი. ძალიან ღელავდა, მე-9 ადგილზე გავიდა მჩატე წონაში (56 კილოგრამამდე) მოასპარეზე 22 მონაწილეს შორის. სამაგიეროდ, სულ მალე, 1947 წლის თებერვალში, საქართველოს ჩემპიონი გახდა პირველად. ლენინის სპორტდარბაზში კონსტიტუციის ქუჩაზე ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაჯაბნა, მათ შორის — აღიარებული ჩემპიონები ქუთაისელი შალვა ხაჭაპურიძე და თბილისელი ერვანდ აბრამოვი.

მაისში მოსკოვში გაემგზავრა საკავშირო ჩემპიონატზე, რომელიც იმხანად ტრადიციულად „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში გაიმართა. ბედმა არ გაუმართლა — ბრმა ნაწლავმა შეუტია და საოპერაციო შეიქნა. ერთი წელიწადი გაუცდა სპორტში. მომდევნო წლის მაისმა სპორტის ოსტატის წოდება მოუტანა კიევში გამართულ შეჯიბრებაზე, სადაც მეექვსე ადგილზე გავიდა, დეკემბერში კი ლენინგრადში საკავშირო გუნდურ პირველობაზე მჩატე წონაში მოუგო ქვეყნის ჩემპიონს ნიკოლაი დონსკოის (კიევი) და ევროპის ჩემპიონს ივანე აზდაროვს (ერევანი). რ. ჩიმიშკიანმა სამჭიდში 290 კილოგრამი მოაგროვა. გავიდა ნახევარი წელიწადი და მან ვორონეჟში საკავშირო პირად ჩემპიონატზეც გაიმარჯვა პირველად.

1949 წლის 8 აპრილს რაფაელმა მსოფლიო პირველი რეკორდი დაამყარა — 92,5 კილოგრამი ატაცში. ეს იყო მოსკოვის სამთა ტურნირზე (რუსეთი, უკრაინა, საქართველო), როდესაც მას 19 წელიწადი შეუსრულდა. ამას მოჰყვა პირველი ადგილი გუნდურ პირველობაზე ჩელიაბინსკში. მომდევნო წლის დამლევს ჩვენს შტანგისტს მეორედ მოუწია იგივე ოპერაციის გადატანა, საავადმყოფოში ყოფნისას წონაში ბლომად მოიმატა და იძულებული იყო ქვემსუბუქ კატეგორიაში (60 კგ) გადასულიყო. ამასობაში ხარკოვში საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა. რაფაელმა მეორე შედეგი აჩვენა — 92,5 კგ. წააგო ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონთან, სარატოველ ევგენი ლოპატინთან (320 კგ).

ახლა თბილისელი ათლეტი უკვე მსოფლიოს უძლიერეს შტანგისტებთან შერკინებაზე ოცნებობდა და აკი ჩარიცხეს კიდეც საკავშირო ნაკრებში... სათადარიგო მონაწილედ. გუნდი პარიზში მიემგზავრებოდა მსოფლიოს და ევროპის 1950 წლის ჩემპიონატებზე (ისინი ერთდროულად ტარდებოდა). ვაგზალზე მისვლისას მოულოდნელად შეიტყო, რომ გუნდის ძირითადი წევრი, აღიარებული ჩემპიონი ივან უდოდოვი ავად გამხდარა. ყველა დაღონდა, იმიტომ, რომ ამ წონაში ნაღდ „ოქროს“ ვკარგავდით, თანაც ერთბაშად ორს.

— მე გამოვალ მჩატე წონაში! — მოკრძალებით განუცხადა მწვრთნელებს რ. ჩიმიშკიანმა.

მაგრამ როგორ? ამისათვის საჭირო იყო მთელი 7 კილოგრამის „დაგდება“. და რაფაელმა შეძლო კიდეც ეს... მგზავრობის დროს. ახლა მისი წონა ზუსტად 56 კილოგრამი იყო.

საკმაოდ შეთხელებული, თითქოს ღონემიხდილი, მაგრამ ანთებული თვალებით გამოვიდა რ. ჩიმიშკიანი სახელგანთქმული „შაიოს“ სასახლის პროჟექტორებით გაბდღვრიალებულ ფიცარნაგზე. 305 კილოგრამს მოუყარა თავი სამჭიდში და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მასზე მეტი აჩვენა მხოლოდ სახელგანთქმულმა ირანელმა ძალოსანმა, მსოფლიო ჩემპიონმა მაჰმუდ ნამდიუმ (310 კგ), რომელმაც ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიოში უმაღლესი ტიტული. რაფაელს მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ხვდა. ვინ იცის, იქნებ ქვემსუბუქ წონაში მას ორი „ოქროს“ მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ არ ნანობდა — მან ხომ გუნდის ინტერესებისათვის გააკეთა ყოველივე.

1950 წლის დეკემბერში სსრკ გუნდური ჩემპიონატი თბილისში გაიმართა... კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. თანამემამულეთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მან ამჯერად მოუგო (320 კგ) ევგენი ლოპატინს. სხვათა შორის, რაფაელმა მომდევნო წელსაც დაამარცხა ე. ლოპატინი და ნ. საქსონოვიც. ეს იყო კაუნასში საკავშირო პირველობაზე, იმავე, 1951 წელს რ. ჩიმიშკიანმა დამაჯერებლად გაიმარჯვა ბერლინში გამართულ ახალგაზრდობის III მსოფლიო თამაშებზე, სადაც თამაშების 3 რეკორდი დაამყარა. ამის შემდეგ ბაქომ უმასპინძლა ქვეყნის უძლიერეს შტანგისტებს გუნდურ პირველობაზე. რ. ჩიმიშკიანმა კიდევ დაჯაბნა თავისი ძირითადი მეტოქე ნიკოლაი საქსონოვი, მაგრამ მომდევნო წლის იანვარში ყველასთვის მოულოდნელად დამარცხდა მასთან მთელი 5 კილოგრამით. იმ ოლიმპიურ წელს ჩვენი შტანგისტი აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა მჩატე წონით კატეგორიაში...

22 მონაწილე გამოვიდა ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების სარბიელზე — სახელგანთქმული „მესუჰალის“ სპორტის სასახლეში. ძირითადი ბრძოლა ოქროს მედლისათვის რ. ჩიმიშკიანსა და ნ. საქსონოვს შორის მიმდინარეობდა. პირველ მოძრაობაში — აჭიმვაში — ჩვენმა ძალოსანმა 97,5 კგ აჩვენა, ნ. საქსონოვმა კი მხოლოდ 95 კგ. მათზე უკეთ იასპარეზეს ტრინიდადელმა რიდ უილკესმა (100 კგ) და ფილიპინელმა რ. დელ-როზარიომ (105). მეორე მოძრაობამ — ატაცმა — 2,5 კილოგრამით დააწინაურა რ. ჩიმიშკიანი (105 კგ). ნ. საქსონოვმა ასეთივე წონა აიღო და ორჭიდში 200 კგ მოაგროვა. რ. უილკესსაც 200 კგ. გამოუვიდა, აი. რ. დელ-როზარიომ კი მხოლოდ 197,5 კგ-ს მოუყარა თავი, რაც მეოთხე შედეგი იყო.

უკანასკნელი, მესამე მოძრაობა — აკვრა. ფილიპინელმა 120 კგ-ით დაამთავრა და სამჭიდში 317,5 კგ აჩვენა. ტრინიდადელმა 122,5 კგ წონას სძლია, რაც ჯამში 322,5 კგ-ს უდრიდა. რ. ჩიმიშკიანი და რ. საქსონოვი ჯერ არ იყვნენ გამოსული ფიცარნაგზე. უნდა ითქვას, რომ ასპარეზობა ადგილობრივი დროით 20 საათზე დაიწყო და საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. უკვე ყველა სპორტსმენმა დაამთავრა გამოსვლა, როდესაც ჩვენი ძალოსანი ჩაება ბრძოლაში. ღამის ორი საათი იყო! რაფაელმა საწყისი წონა — 130 კგ შეუკვეთა მსაჯებს. დამაჯერებელი მოძრაობა და შტანგა გაჭიმულ ხელებზე გაიყინა. დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა. საქმე ისაა, რომ რ. ჩიმიშკიანმა სამჭიდში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა (332,5 კგ), რომელიც ეგვიპტელ მ. ფაიადს ეკუთვნოდა. მაგრამ რაფაელს წინ ხომ კიდევ ორი ცდა ჰქონდა! 132,5 კგ მოითხოვა საქსონოვმა პირველსავე მისვლაზე, რათა დასწეოდა თბილისელ შტანგისტს. აიღო კიდეც. რ. ჩიმიშკიანმა გამოტოვა ეს წონა და 135 კგ შეუკვეთა. მისი დაძლევის შემთხვევაში გაუმჯობესებული იქნებოდა მსოფლიოს და ოლიმპიური რეკორდი სამჭიდში მთელი 6 კილოგრამით. პირველი ცდა უნაყოფო იყო. ჩვენმა ძალოსანმა მკერდზე აიღო შტანგა, მაგრამ ვერ დააფიქსირა გამართულ ხელებზე. ეტყობა, დიდად გადაიღალა — საათის ისრები სამს უახლოვდებოდა. აი უკანასკნელი ცდაც! რ. ჩიმიშკიანი დინჯად მიდის ურჩ შტანგასთან, წამიც და, დამაჯერებლად სძლევს 135 კილოგრამს. 337,5 კილოგრამი სამჭიდში — არის მსოფლიოს ახალი რეკორდი! ახლა სიტყვა ნ. საქსონოვზეა. შეძლებს თუ არა იგი ამ შედეგის გაუმჯობესებას, მას ხომ კიდევ ორი ცდა აქვს? შტანგაზე 137,5 კგ-ია. ეს მსოფლიოს რეკორდის გამეორებაა აკვრაში, რომელიც მასვე ეკუთვნის. ნ. საქსონოვმა ვერც ერთი მისვლა ვერ გამოიყენა წარმატებით, გამარჯვებულს 5 კილოგრამით ჩამორჩა და ვერცხლის მედალს დასჯერდა სამჭიდის ჯამში 332,5 კილოგრამით. ოლიმპიური ჩემპიონობა ქვემსუბუქ წონაში მოიპოვა 23 წლის თბილისელმა ძალოსანმა რაფაელ ჩიმიშკიანმა. მას იქვე მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. თბილისელმა დინამოელმა რ. ჩიმიშკიანმა ამის შემდეგ ორჯერ — 1954 წელს (350 კგ) და 1955 წელს (350 კგ) მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა ქვემსუბუქ წონაში, ევროპის ჩემპიონობა 1950 წელს (395 კგ) მჩატე წონაში, 1954 წელს (350 კგ), 1955 წ. (350 კგ), 1956 წ. (340 კგ) და 1957 წ. (340 კგ) ქვემსუბუქ წონაში. რ. ჩიმიშკიანი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი იყო 1950 წელს (305 კგ) მჩატე წონაში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების 1953 წელს (332,5 კგ) ქვემსუბუქ წონაში, ამის გარდა მან ხუთგზის მოიპოვა საკავშირო ჩემპიონობა (1949, 1951, 1954, 1955. და 1960 წ.წ.), დაამყარა მსოფლიოს 14 და 13 საკავშირო რეკორდი.



...ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ოლიმპიური ჩემპიონი რაფაელ ჩიმიშკიანი პროფესიით კბილის ტექნიკოსია. 1955 წელს შევიდა თბილისის საპროტეზო ტექნიკუმში (დირექტორი შოთა სილაგავა), რომელიც ვაკეში, კინოთეატრ „ყაზბეგის“ შორიახლოს მდებარეობდა. სასწავლებელში ორწლიანი სწავლება იყო და საკმაოდ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებდა.

— გამოსაშვები გამოცდის კომისიის წევრებს შორის იყო ცნობილი სტომატოლოგი პროფესორი ისიდორე გაგუა — გვეუბნება რაფაელ ჩიმიშკიანი — ვიცოდით, რომ იგი ძველი სპორტსმენი გახლდათ, ერთ-ერთი პირველი ქართველი ფეხბურთელი და, ცხადია, დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვიყავით მისადმი გამსჭვალული. თითქოს ჩემი პასუხით ბატონი ისიდორე კმაყოფილი დარჩა, შემაქო კიდეც და... ნება დამრთო რეგულარულად მევლო პლეხანოვის პროსპექტისა და კრილოვის ქუჩის შესაყარზე მდებარე სტომატოლოგიური ცენტრის (თავად მაშინ აქ მუშაობდა) საპროტეზო განყოფილებაში. ცხადია, მეც ვისარგებლე ამით და დიდი გამოცდილება შევიძინე ცნობილი სპეციალისტებისაგან. ყოველივე დიდად გამომადგა შემდგომ მუშაობაში. წარმოიდგინეთ, რომ ჩემი პირველი დამოუკიდებელი სამუშაო იყო... საკუთარი თავისათვის ოქროს კბილების გაკეთება. თანამედროვე ხელსაწყოები უცხოეთიდან ბლომად მქონდა ჩამოტანილი, საქმე არ გამჭირვებია. ცხადია, ზომები სხვამ ამიღო და, მაშინვე ჩამისვა კიდეც კბილები, მაგრამ თვით „პროდუქცია“ ხომ ჩემი ნახელავი იყო. ერთი სიტყვით... „მომხმარებელი“ კმაყოფილი დარჩა — ყოველ შემთხვევაში, დღემდე „არსად უჩივლია“!

ტექნიკუმის პარტკომად იმხანად ავთანდილ საყვარელიძე მუშაობდა, იგი დღეს პროფესორია, სამედიცინო უნივერსიტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრის გამგე. რ. ჩიმიშკიანი მიუნხენის 1955 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადებოდა მოსკოვის ახლოს პოდოლსკში და შეკრებაზე მყოფმა მთელი თვე გააცდინა სასწავლებელში. დეკანატს იგი გასარიცხ სტუდენტთა სიაში შეეტანა. როდესაც ა. საყვარელიძემ შეიტყო ეს, ტექნიკუმის ხელმძღვანელობას მიმართა, ნუ ვიჩქარებთ მაგის გარიცხვას, ცოტა ვაცალოთ, მით უფრო, რომ სტუდენტებში... ერთადერთი პარტიული მყავს, ამასობაში რაფაელიც დაბრუნდა თბილისში. პარტკომმა გამოიძახა თავისთან და უთხრა „ურჩ“ სტუდენტს: „ოლიმპიური ჩემპიონი კი ხარ, მაგრამ თუ მსოფლიო ჩემპიონატიდანაც ასევე ოქროს მედალს ჩამოიტან, არ გაგრიცხავთ, თუ „ვერცხლი“ გექნება — გაისად გაგრიცხავთ, აი თუ მხოლოდ „ბრინჯაო“ — ჩვენს სასწავლებელს საერთოდ არ გაეკარო!

— ასე რომ, როგორც ხედავთ, „იძულებული“ გავხდი ოქროს მედალი ჩამომეტანა, — ეღიმება რაფაელ ჩიმიშკიანს. ამის შემდეგ ბატონმა ავთანდილმა შეფობა აიღო ჩემზე, მტოვებდა მეცადინეობის შემდეგ და გულდასმით მასწავლიდა სპეციალობას. ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება.

ჰელსინკის 1952 წლის XV ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რაფაელ ჩიმიშკიანი 1973 წლიდან საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია. უმსაჯია მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. რ. ჩიმიშკიანი წლების მანძილზე საქართველოს ნაკრების კონსულტანტი გახლდათ. დღესაც საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდიუმის საპატიო წევრია. შარშან აპრილში დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

**ოთარ ნოზაძე**

*სურათზე: რაფაელ ჩიმიშკიანი 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე.*

# სუპერთასი ბათუმელებმა მოიგეს

ეს იყო გაზეთ „რეზონანსის“ მიერ დაწესებული სუპერთასის მესამე გათამაშება. თუ წინა ორში ქვეყნის ჩემპიონმა თასის ფინალისტს სძლია, ამჯერად ტრადიცია დაირღვა. თუმცა, მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ.



საქართველოს თასის მფლობელი ბათუმის „დინამო“ ახლა სუპერთასსაც დაეუფლა

**დინამო (ბათუმი) — დინამო (თბილისი) 2-1**

*ბათუმი:* ტოგონიძე, მინდაძე, სიჭინავა, კანტიძე, ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი (მაქაცარია, 72), მაჭუტაძე, ტუღუში, გადელია (აფხაზავა, 46).

*დინამო:* სოლოღაშვილი, ი. მახარაძე, გურჩუა, კვარაცხელია (ლ. მელქაძე, 68), მუჯირი (სახვაძე, 62), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (გ. შენგელია), ცქიტიშვილი, ხომერიკი, კობიაშვილი.

*გოლები:* 1-0 მაჭუტაძე (40), 1-1 ცქიტიშვილი (81), 2-1 ტუღუში (83).

*მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

ბათუმში თბილისელებმა ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება შეიტანეს – გუნდში დაბრუნდა საყრდენი ნახევარმცველი გიორგი კიკნაძე, ამავე რგოლის მოთამაშე ივანე მახარაძე კი სწორედ ბათუმის გუნდიდან გადმოვიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, აუტანელი სიცხის გამო, გუნდებმა მატჩი დაბალ ტემპში დაიწყეს, იგრძნობოდა სტუმართა უპირატესობა, რომელთა რიგებში საზრიანი თამაშით კიკნაძე გამოირჩეოდა – ჯერ იყო, მანვე პირველივე წუთზე განახორციელა სოლო-რეიდი, მერე ბათუმელთა მეკარესთან პირისპირ გავიდა ალექსიძე, მაგრამ ორივე შემთხვევაში ტოგონიძემ იმარჯვა.

თბილისელებისგან განსხვავებით, ბათუმელთა კონტრშეტევებში გარჯას შედეგი მოჰყვა: მინდვრის შუაგულში ბურთი მოულოდნელად მუჯირმა დაჰკარგა და მასპინძლებმა მარჯვნიდან გარღვევაზე გაიყვანეს მაჭუტაძე. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ პაატა თამაშგარეშე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა ოფსაიდი არ დააფიქსირა (ზონაში ჩარჩენილი იყო ერთ-ერთი თბილისელი მცველი) და ბათუმელთა ფორვარდმა უყოყმანოდ აიღო კარი.

მეორე ტაიმი კვლავ თბილისელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ, ეტყობა, ისინი ფიზიკურად ჯერჯერობით მთლად ჯანზე არ არიან და მაღალ ტემპს მხოლოდ 10 წუთი გაუძლეს. შემდგომში თამაში კვლავ გათანაბრდა. მოვლენათა ასეთი განვითარება, ცხადია, მურთაზ ხურცილავას ხელს არ აძლევდა და მან მინდორზე რამდენიმე ახალი მოთამაშე შეიყვანა. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე სტუმრებმა საწადელს მიაღწიეს და ანგარიში გაათანაბრეს: ცქიტიშვილმა ინდივიდუალური გარღვევა განახორციელა და ტოგონიძისგან შორეულ მარცხენა კუთხეში მოათავსა ბურთი – 1-1.

ეს ანგარიში ბათუმის სტადიონის ტაბლოზე დიდხანს არ კიაფობდა: ტუღუშმა ბურთი კარგად დაამუშავა და უძლიერესი დარტყმით აიღო სოლოღაშვილის კარი, 2-1. დარჩენილ წუთებში თბილისელთა სუმბურულ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია.

სუპერთასის მოპოვება ბათუმის „დინამოს“ ერთ-ერთმა პირველმა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ მიულოცა.

# საქართველოს ჩემპიონატში სამხრეთ ოსეთისა და ჩეჩნეთის გუნდებიც ითამაშებენ?

ამას წინათ, ჩეჩნეთში ქართველ პარლამენტართა ჯგუფის სტუმრობისას, იქაურმა პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა სინანული გამოთქვა, რომ იზოლაციის გამო, ფეხბურთი ჩეჩნეთში დეგრადაციის გზას დაადგა. მას სურვილი გამოუთქვამს, რათა ქ. ჯოჰარის (გროზნოს) თერგის ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. ანალოგიური წინადადებით მიუმართავს ქართული მხარისთვის სამხრეთ ოსეთის ლიდერს ლუდვიგ ჩიბიროვს ცხინვალის „სპარტაკის“ თაობაზე. ეს ცნობილი გახდა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტის ნოდარ ანდრიაძის და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის ცხინვალში სტუმრობისას.

ცხინვალის გუნდის მონაწილეობას ეროვნულ ჩემპიონატში წინ არაფერი დაუდგება — სამხრეთ ოსეთი ხომ საქართველოს განუყოფელი ნაწილია. აი, ჩეჩნეთის გუნდის ჩართვას ჩვენს პირველობაში ნამდვილად შეეწინააღმდეგება რუსეთის საფეხბურთო კავშირი და მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი ასლან მასხადოვის თხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, გავიხსენოთ: სოხუმის „დინამო“ ერთხანს ხომ ჩაერთო რუსეთის ჩემპიონატში, მაშინ ქართველებმა ფიფას მიმართეს პროტესტით, რის შემდეგ სოხუმის „დინამო“ გამოაძევეს რუსეთის ჩემპიონატიდან.

# ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის



საბერძნეთში მიმდინარე ვაჟ კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში ჯგუფური ტურნირი დამთავრდა და გაირკვა ის ნაკრები გუნდები (3-3 თითოეული ჯგუფიდან), რომლებიც მერვედფინალში იასპარეზებენ.

**«A» ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 210:185 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | 211:199 | 5 |
| კანადა | 3 | 1 | 2 | 211:214 | 4 |
| სენეგალი | 3 | 0 | 3 | 180:214 | 3 |

**«B» ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 261:194 | 6 |
| რუსეთი | 3 | 2 | 1 | 243:213 | 5 |
| პუერტო-რიკო | 3 | 1 | 2 | 217:223 | 4 |
| იაპონია | 3 | 0 | 3 | 169:260 | 3 |

**«C» ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 3 | 3 | 0 | 247:180 | 6 |
| აშშ | 3 | 2 | 1 | 253:205 | 5 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 197:222 | 4 |
| კორეა | 3 | 0 | 3 | 191:261 | 3 |

**«D» ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 225:211 | 6 |
| არგენტინა | 3 | 2 | 1 | 201:181 | 5 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 2 | 218:207 | 4 |
| ნიგერია | 3 | 0 | 3 | 183:218 | 3 |

მერვედფინალში გასულმა გუნდებმა „E“ და „F“ ჯგუფები შექმნეს, საიდანაც მეოთხედფინალის საგზურს 4-4 საუკეთესო მოიპოვებს: **„E“ ჯგუფი:** საბერძნეთი, იუგოსლავია, იტალია, რუსეთი, კანადა, პუერტო-საკო; **„F“ ჯგუფი:** ლიტვა, არგენტინა, აშშ, ესპანეთი, ავსტრალია, ბრაზილია.

**კვირას გამართული მატჩების შედეგები:**

**„E“ ჯგუფი:** იუგოსლავია – კანადა 95:55, რუსეთი – იტალია 71:55, საბერძნეთი – პუერტო-რიკო 71:64;

**„F“ ჯგუფი:** ავსტრალია – ლიტვა 71-61, არგენტინა – აშშ 74:87, ესპანეთი – ბრაზილია 73:63.

სამწუხაროდ, არც კალათბურთელები ყოფილან „წმინდანები“. ჩემპიონატის პირველივე დღეებში გამოვლინდა დოპინგის მომხმარებელი – ნიგერიის ნაკრების ლიდერი იულიუს ნვოსუ, რომელიც აკრძალული პრეპარატის, ეფედრინის ხმარებაში ამხილეს.

# „დინამოზე“ აყრილ ფიცარს ბევრი კლიენტი გამოუჩნდა

გულშემატკივრებმა იციან, შარშანდელ ჩემპიონატში მცხეთის „არმაზის“ სტადიონზე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს თსუ-ს გუნდი მართავდა. ახლა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ სარბიელზე ითამაშონ თბილისის „ლოკომოტივმაც“ და „ვიტ-ჯორჯიამაც“ – რკინიგზელთა სტადიონზე რემონტი წამოიწყეს, ხოლო ჯორჯიელებს „შევარდენზე“ ასპარეზობა ძალიან ძვირი უჯდებოდათ.

ცხადია, სამი გუნდის შემკედლებელი სტადიონი სათანადოდ უნდა მოემზადოს. მცხეთელებმა დახმარებისათვის ეროვნული სტადიონის დირექციას მიმართეს – თქვენთან ინდივიდუალური სავარძლების დამონტაჟება მიმდინარეობს, ხის სკამები რომ აჰყარეთ, ფიცრის ნაწილი ჩვენ მოგვეცითო, სხვათა შორის, ეროვნული სტადიონის მუშებისაგან ისიც შევიტყვეთ, რომ მცხეთელბის გარდა აყრილ ფიცარს კიდევ ორი კლიენტი უმიზნებს – „ლოკომოტივი“, რომლის მეპატრონეები ძმები არველაძეები გახდნენ, და გორის „დილა“.

## ოთარ შენგელიას შეგირდები საევროპოდ ემზადებიან

ამ დღეებში საქართველოს 16 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისწინა საწვრთნელ შეკრებას გადის ბულგარეთის ქალაქ ვარნაში. მთავარმა მწვრთნელმა ოთარ შენგელიამ გუნდში შემდეგი მოთამაშეებს უხმო: *მეკარეები* – გიორგი თარხნიშვილი, ბესიკ კოდალაევი, *მცველები* – გიორგი ქერაშვილი, ვასილ გეგუჩაძე, გიგა გადაბაძე, ირაკლი ნემსაძე, ზვიად ლაბაძე, ალექსანდრე ჩივაძე, *ნახევარმცველები* – გიორგი სამხარაძე, ბექა ცაგარეიშვილი, ირაკლი მიქავა, გიორგი ნორაკიძე, თავდამსხმელები – ლევან მელიქია, ნიკა თუშიშვილი, ლადო ახალაია.

შენგელიას თქმით, ნაკრები სამშობლოში 15 აგვისტოსთვის დაბრუნდება და ხანმოკლე შესვენების შემდეგ შეიძლება მალაიზიის ტურნირში მიიღოს მონაწილეობა. აგვისტოს ბოლოს ეს გუნდი მთლიანი შემადგენლობით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში იასპარეზებს „დინამო-3-“ ის სახელწოდებით.

## ჭაბუკმა ფეხბურთელებმა სამსუნში ცემით თანატოლი მოკლეს

(პირველი გვერდიდან)

ცნობებს ვაზუსტებთ“. ***სპორტის დეპარტამენტი:*** „ვიცით, რაც მოხდა. ამბობენ, რომ ლტოლვილთა გუნდი იყო ქუთაისიდან. აფხაზეთის სპორტკომიტეტი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია „წითელი ჯვრის“ ხაზით გაგზავნეს გუნდი, რადგან თურქეთში მათი მასპინძელი „წითელი ნახევარმთვარე“ იყო.

***„წითელი ჯვრის“ საქართველოს საზოგადოება:*** „კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ჩვენ არავინ გაგვიგზავნია და ვერც საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაცია გააგზავნიდა ვინმეს უცხოეთში ჩვენს გარეშე“.

დავრეკეთ ქუთაისის სამხარეო რეზიდენციაში, საიდანაც გვიპასუხეს, რომ ქალაქში მომხდარის თაობაზე არაფერი იციან, მაგრამ გადაამოწმებენ. ცოტა ხანში რედაქციაში დარეკა „წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ რამაზ ყანჩაველმა, რომელმაც გვითხრა, რომ მის ორგანიზაციას თურქეთში სპორტსმენთაგან არავინ გაუგზავნია. ამჟამად, იქ, ახალგაზრდულ ბანაკში, იმყოფება მხოლოდ გოგონათა ჯგუფი, სადაც ეს-ესაა დარეკა ჩვენი საზოგადოების პრეზიდენტმა. იქ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ შეიძლება ლაპარაკია სხვა ბანაკზე“.

**გენუის „სამპდორიამ“ ესპანურ „ვალენსიას“ 12 მილიონი დოლარი გადაუხადა არგენტინელი ფორვარდის *დანიელ ორტეგას* გადმობირებისათვის.**



## „მანჩესტერი“ აღარ ხუმრობს

**გუშინ** დილით „მილანის“ პრეზიდენტის სილვიო ბერლუსკონის საკუთარი თვითმფრინავით მანჩესტერს ჩაფრინდა ჰოლანდიელი ფორვარდი ***პატრიკ კლუივერტი,*** რომელსაც აეროპორტშივე დიდძალი გულშემატკივარი და ჟურნალისტი დახვდა. აი, რა უთხრა მან როიტერის კორესპონდენტს: „გასულ პარასკევს „მილანისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ კლუბებმა ჩემს სატრანსფერო თანხაზე მოილაპარაკეს. არ მეგონა, რომ ინგლისელები ჩემში 14,8 მილიონ დოლარს გაიღებდნენ, მაგრამ ალექს ფერგიუსონი შორსმჭვრეტელი სპეციალისტია – მას გადაწყვეტილი აქვს ჩემით და ენდი კოულით ყოვლისშემძლე დამრტყმელი ტანდემი შექმნას და, ვფიქრობ, ეს ჩანაფიქრი ცხოვრებაში მალე განხორციელდება. ახლა საქმე მხოლოდ ჩემზეა. ინგლისელები კვირაში 32 ათას დოლარს მთავაზობენ. ამ თანხას ცოტაც რომ დაუმატონ, უყოყმანოდ დავთანხმდები.“

გუშინვე უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ კლუივერტისა და „მანჩესტერის“ მეპატრონეთა მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და უკვე დღეს საზეიმო ვითარებაში მოხდება საბოლოო კონტრაქტზე ხელის მოწერა. სხვათა შორის, იმასაც იტყობინებიან, რომ ინგლისურმა კლუბმა კიდევ ერთი შენაძენი გააკეთა – 2 მილიონ გირვანქა სტერლინგად გადმოიბირა „ასტონ ვილას“ ტრინიდადელი ფორვარდი დუაიტ იორკი. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, რომ მანჩესტერელებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ დაიბრუნონ ჩემპიონის ტიტული, რომელსაც შარშან „არსენალი“ დაეუფლა.

# ფორმულა-1

## შუმახერმა თანამემამულეები გააწბილა

***კვირას, ლამის მთელი ქვეყანა სულგანაბული შეჰყურებდა ცისფერ ეკრანს და, ცხადია, თავისი თანამემამულის გამარჯვებას ელოდა, ვინაიდან ჩემპიონატის XI ეტაპი სწორედ გერმანიაში, „ჰოკენჰაიმის“ ტრასაზე (სიგრძე 6,8 კმ, დისტანცია – 45 წრე – 307 კილომეტრი) მიმდინარეობდა. გაიმეორებდა მიხაელ შუმახერი 1995 წლის წარმატებას, როცა გერმანელმა მრბოლმა ამ ტრასაზე ბრწყინვალე სტილით უკან ჩამოიტოვა ბრიტანელი დაიმონ ჰილი?***

სასტარტო განლაგება შაბათის საკვალიფიკაციო რბოლას უნდა გადაეწყვიტა და... იმთავითვე გერმანელთა „ჭილა“ დაითარსა – მის ბოლიდს ხან რა დაემართა, ხან რა. საბოლოოდ ძირითადი რბოლისას პილოტთა განლაგება ასეთი იყო: 1. მიკა ჰაკინენი (ფინეთი), 2. დევიდ კულჰარდტი (ბრიტანეთი), 3. ჟაკ ვილნევი (კანადა)... 9. მიხაელ შუმახერი. ამგვარად, თავიდანვე საეჭვო იყო, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, გერმანელ პილოტს გაუჭირდებოდა მე-9 პოზიციიდან პირველობისათვის ბრძოლა. ასეც მოხდა.

**რბოლის შედეგი:** 1. მიკა ჰაკინენი; 2. დევიდ კულჰარდტი (ორივე — „მაკლარენ-მერსედესი“); 3. ჟაკ ვილნევი („უილიამს-მეკაქრომი“); 4. დაიმონ ჰილი („ჯორდან-მუგენ ჰონდა“); 5. მიხაელ შუმახერი („ფერარი“).

**პირადი ჩათვლა:** 1. ჰაკინენი — 76 ქულა; 2. მ. შუმახერი — 60; კულჰარდტი — 42; 4. ირვინი — 32; 5. ვილნევი — 16.

**კონსტრუქტორთა პირველობა:** „მაკლარენი“ — 118, „ფერარი“ — 92, „ბენეტონი“ — 30, „უილიამსი“ — 24, „ჯორდანი“ — 7.

„ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის XII ეტაპი გაიმართება 16 აგვისტოს უნგრეთის „ჰუნგარორინგის“ ტრასაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## 1998/99 წლების ევროპის საკლუბო ტურნირები ფეხბურთში

### ჩემპიონთა ლიგა

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
12-26 აგვისტო

დინამო (თბ., საქართველო) — ატლეტიკი (ესპანეთი)
ინტერი (იტალია) — სკონტო (ლატვია)
სელტიკი (შოტლანდია) — კროაცია (ხორვატია)
ჰიკ (ფინეთი) — მეცი (საფრანგეთი)
ლიტექსი (ბულგარეთი — სპარტაკი (რუსეთი)
სტიაუა (რუმინეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ლკს (პოლონეთი)
გრანიკი (სლოვენია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ანართოსისი (კვიპროსი)
შტურმი (ავსტრია) — უიპეშტი (უნგრეთი)
გალათასარაი (თურქეთი) — გრასჰოპერსი (შვეიცარია)
დინამო (უკრაინა) — სპარტა (ჩეხეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — ბრიუგე (ბელგია)
ბენფიკა (პორტუგალია) — ბეითარი (ისრაელი)
კოშიცე (სლოვაკეთი) — ბრონდბიუ (დანია)
ბაიერნი (გერმანია) — ობილიჩი (იუგოსლავია)

### უეფას თასი

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
11-25 აგვისტო

ციურიხი (შვეიცარია) — შახტიორი (უკრაინა)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — როტორი (რუსეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — აეკი (საბერძნეთი)
ეკერენი (ბელგია) — სერვეტი (შვეიცარია)
არჯეში (რუმინეთი) — ისტანბულსფორი (თურქეთი)
მიოლდე (ნორვეგია) — ცსკა (ბულგარეთი)
გიოტებორგი (შვედეთი) — ფენერბახჩე (თურქეთი)
მურა (სლოვენია) — სილკებორგი (დანია)
გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — პაოკი (საბერძნეთი)
სლავია (ჩეხეთი) — ინტერი (სლოვაკეთი)
ბრანი (ნორვეგია) — ქალგირისი (ლიტვა)
ვისლა (პოლონეთი) — ტრაბზონსპორი (თურქეთი)
ოცელული (რუმინეთი) — ვაილე (დანია)
ჰაპოელი (თ-ა, ისრაელი) — სტრომგოდსეტი (ნორვეგია)
ოსიეკი (ხორვატია) — ანდერლეხტი (ბელგია)
ომონია (კვიპროსი) — რაპიდი (ავსტრია)
ვაასა (ფინეთი) — გრაცერი (ავსტრია)
პოლონია (პოლონეთი) — დინამო (რუსეთი)
ჰაიდუკი (ხორვატია) — მალმე (შვედეთი)
კილმარნოკი (შოტლანდია) — სიგმა (ჩეხეთი)

# ბრაზილიური ფეხბურთის ამბები


მარიო ზაგალო

## ზაგალო ალაპარაკდა

ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარიო ზაგალოს გადადგომის შესახებ „ლელომ“ მკითხველს ადრე აცნობა. ბუნებრივია, ცნობილმა სპეციალისტმა გულთან ახლოს მიიტანა ეს ამბავი და რამდენიმე დღე მომხდარის კომენტარისაგან თავს იკავებდა. მან დუმილი მხოლოდ გასული კვირის ბოლოს დაარღვია და პირველად ინტერვიუ როიტერის სააგენტოს მისცა.

დასაწყისში ზაგალომ იხტიბარი არ გაიტეხა და განაცხადა, რომ: „პოსტიდან თავაწეული მივდივარ. როგორც მოთამაშემ და მწვრთნელმა ნაკრებთან ერთად ხუთ მონდიალში მივიღე მონაწილეობა, აქედან ოთხ გათამაშებაში გუნდმა უძლიერესის ტიტული მოიპოვა და მხოლოდ ერთში, ისიც ფინალში დამარცხდა. ასეთი შედეგით ვამაყობ“. როცა საუბარი საფრანგეთთან ფინალურ მატჩს შეეხო, ზაგალომ გადაჭრით გაილაშქრა იმ სპეციალისტებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებიც მარცხში რონალდოს ადანაშაულებენ. მისი თქმით, მატჩის წინ ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავს საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. გაირკვა, რომ რონალდო სრულებით ჯანმრთელი იყო და მისი შემადგენლობაში არდაყენების უფლება არ მქონდაო. ზაგალომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ: „12 ივლისის მატჩის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ის დაძაბული ურთიერთობები იყო, რომელიც ნაკრების წევრებს შორის სუფევდა. ამ დაძაბულობის განმუხტვა, სამწუხაროდ, ვერ შევძელი“.

ინტერვიუს დასკვნით ნაწილში ირკვევა, რომ ზაგალო სულაც არ აპირებს ფეხბურთიდან წასვლას და უთუოდ გააგრძელებს სამწვრთნელო კარიერას, თუმცა, სად, ჯერჯერობით უცნობია.

## ბრაზილიას მონდიალის მასპინძლობა სურს

**ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ ამ დღეებში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომლის მთავარი არსი იყო ის, რომ მსოფლიოსთვის ემცნო ამ ქვეყნის ხელისუფალთა გადაწყვეტილება — უმასპინძლოს 2006 წლის მონდიალს. როგორც გაირკვა, ბრაზილიელთა განზრახვას მხარი დაუჭირა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ.**

**„ლელოს“ მკითხველმა იცის, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობას ერთმანეთს ეცილებიან გერმანია, ინგლისი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და ავსტრალია. ახლა, როცა ბრაზილიამაც ოფიციალურად გამოამზეურა თავისი განზრახვა, მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. აქამდე სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია ინგლისს უჭერდა მხარს, ახლა კი როგორც გაირკვა, მისი „ჯილა“ ბრაზილია გახდა. ამ ქვეყანამ, ცნობილია, მონდიალს უკანასკნელად 1950 წელს უმასპინძლა, ტეიშეირას განცხადებით, 2006 წელს, წესით ჩემპიონატს აფრიკის კონტინენტმა უნდა უმასპინძლოს, მაგრამ თუ საქმეში გერმანია და ინგლისი ჩაერივნენ, რატომ არ შეიძლება კანდიდატურა ბრაზილიამაც წამოაყენოს?**

## „ვინც რაღაცას წარმოადგენდა, ყველა გაყიდეს“

როცა მოსკოვის „ტორპედოს“ წლეულს საკმაოდ მოულოდნელად უმაღლესი დივიზიონის დატოვება დაემუქრა, კლუბის მესვეურებმა მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი მოხსნეს და მის მაგივრად ისევ ვალენტინ ივანოვი მიიწვიეს. ამას ვითარება დიდად არ შეუცვლია.

აი, რა განაცხადა ივანოვმა:

— ახლა ჩვენი მთავარი პრობლემა მოთამაშეებია. უკანასკნელ ხანებში გაყიდეს ყველა წამყვანი ფეხბურთელი, ვინც რაღაცას წარმოადგენდა და მათ მაგივრად მოიწვიეს ფეხბურთელები, რომლებიც მათმა ყოფილმა კლუბებმა სიამოვნებით გაათავისუფლეს... რა უნდა ვიღონოთ, რა გავაკეთოთ. მოგვიხდება სახიფათო ზონას იმ მოთამაშეებით დავაღწიოთ თავი, რომლებიც დაგვრჩა.

მკითხველებს გავახსენებთ, რომ არის კიდევ ერთი კულბი „ტორპედო“ — ზილი, რომელიც დამაჯერებლად ლიდერობს მეორე დივიზიონის ცენტრალურ ზონაში, და, როგორც ჩანს, პირველ დივიზიონში გადასვლის შესაძლებლობები აქვს.

## მუშტი - კრივი, თქვენი მოწონებული

მოსკოვის სტადიონებისათვის გულშემატკივრების შეხლა-შემოხლა ახალი ხილი არ არის, მაგრამ „სპარტაკისა“ და „დინამოს“ მატჩის შემდეგ მაყურებლები რომ ერთმანეთს დაერივნენ...

დაზარალდა დაახლოებით 100 კაცი. ისინი, ვისაც ტვინის შერყევა ჰქონდა, სასწრაფოდ საავადმყოფოში მოათავსეს. არსებობს ასეთი, „სახიფათო-მატჩების“ კატეგორია. ახლა მღელვარებით მოელიან „სპარტაკ“-ცსკას შეხვედრას, რომელთა გულშემატკივრებს ერთმანეთთან „ძველი ანგარიშები“ აქვთ.

## იარცევს უკვე უსტვენენ

გიორგი იარცევი, მოსკოვის „დინამოს“ გულშემატკივრებმა ძალიან თბილად მიიღეს, პირველ ხანებში იმედიანად იყო, ორი მატჩი მოიგო, მაგრამ შემდეგ გუნდი თავის ძველ დონეს დაუბრუნდა და ასევე ორი მატჩის წაგების შემდეგ უკანაკნელისწინა, მე-15 ადგილზეა.

ბოლო მატჩის წაგების შემდეგ მოსკოველმა გულშემატკივრებმა იარცევი მინდვრიდან სტვენით გააცილეს.

## ძოფი: „ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ადგილი წამყვანთა შორის“

იტალიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნულმა დინო ძოფმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ დაიწყებს მზადებას ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისათვის, მალე გამოაცხადებს გუნდის შემადგენლობას.

– მე რომ „ლაციოს“ მწვრთნელად ვმუშაობდი, დავამუშავე კლასიკური ზონური დაცვა ლიბეროს გარეშე. შესაძლოა, ეს სისტემა ნაკრებშიც გამოვიყენოთ, აგრეთვე ვისარგებლოთ ყოველივე იმ საუკეთესოთი, რასაც სერია A-ს გუნდები იყენებენ. ჩვენ, უბრალოდ, ვალდებული ვართ დავიბრუნოთ ადგილი წამყვან ნაკრებებს შორის.

## თურქეთის ნაკრები „მსოფლიოს ნაკრების“ წინააღმდეგ

29 ოქტომბერს აღინიშნება თურქეთის რესპუბლიკის შექმნის 75 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ სტამბოლში მიიწვია ფიფაში შემავალი ყველა ასოციაციის წარმომადგენლები, აგრეთვე გამოჩენილი ფეხბურთელები დიეგო მარადონა, იოჰან კრუიფი, მიშელ პლატინი, ფრანც ბეკენბაუერი...

მოეწყობა მატჩი თურქეთის ნაკრებისა და „მსოფლიოს ნაკრებს“ შორის, რომელსაც ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა მოამზადებს. საინტერესოა, რომ ორიოდე წლის წინათ იგი თურქეთში მუშაობდა და სტამბოლის „ფენერბახჩეს“ ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოუპოვა.

ორგანიზატორები იმედს გამოთქვამენ, რომ ეს შეხვედრაც ისევე საინტერესოდ ჩატარდება, როგორც მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის მატჩები.

# ესპანეთის ფეხბურთის ამბები

## დე ბურები — ახალი ბოსმანები?

***ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი 30 აგვისტოს დაიწყება და იქაურ საკლუბო გუნდებში ახლა გახურებული სატრანსფერო გარიგებებია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდ ინტერესს „ბარსელონაში“ მომხდარი ცვლილებები იწვევს, პირველ რიგში, იქ ტყუპი ძმების დე ბურების გადასვლის გამო. რონალდისა და ფრენკის ფოტოსურათები მეორე კვირაა არ სცილდება კატალონურ გაზეთებს — თუ ეს მოთამაშეები გადავიბირეთ, ჩვენი მძლეველი არა მარტო „რეალი“, მსოფლიოში კლუბი არ იქნებაო. რატომ გახდა სათუო ტყუპების ყოვლისშემძლე „ბარსაში“ გადაყვანა?***

ტყუპების ირგვლივ ატეხილ აყიოტაჟს ბოლო არ უჩანს. ისინი კატეგორიულ უარზე არიან ამიერიდან მშობლიურ „აიაქსში“ გააგრძელონ კარიერა, არადა, ამ კლუბთან საკმაოდ გრძელვადიანი კონტრაქტი აკავშირებთ, ვინ არ ჩაერია ამ საქმეში — ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია, სამოქალაქო სასამართლო (ბოსმანის პროცესის დარად), მაგრამ, საბოლოოდ მან არაფეხბურთელების მხარე დაიჭირა.

ამის გამო ძმებმა საჯაროდ გამოხატეს თავისი უკმაყოფილება. თავიანთ ინტერვიუებში რონალდიც, ფრენკიც „აიაქსს“ ადამიანის უფლებათა დარღვევაში და სხვა სახის დანაშაულში სდებდნენ ბრალს. და აი, მოულოდნელად ტყუპებს მხსნელად ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი და კლუბი „ბარსელონა“ მოევლინენ. კატალონური გუნდის მეპატრონეებმა (ცხადია, მწვრთნელის დაჟინებული მოთხოვნით) ცალსახად განაცხადეს, რომ ძალ-ღონესა და ფულს არ დაიშურებენ, რათა მომავალი სეზონიდან დე ბურები „ბარსაში“ გადმოიყვანონ. განსაკუთრებით აქტიურობს კლუბის დირექტორი ამადორ ბერნაბეუ. მან ოფიციალურად განაცხადა: „ჩვენ სამართალსა და კანონებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკან დავიხევთ და დე ბურებისთვის ბრძოლას შევწყვიტავთ. რონალდიც და ფრენკიც მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან. ისინი „ბარსელონათი“ დაინტერესდნენ და ჩვენც მზად ვართ „აიაქსთან“ მოლაპარაკებები გავმართოთ. ძმებს ამსტერდამის დატოვება სურთ და ამაში მათ ძლიერ დავეხმარებით.“


ტყუპები ფრანკ და რონალდ დე ბურები

ფრიად საყურადღებო მოსაზრება შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით გამოთქვა ლუის ვან გაალმაც: — სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კარგია ჰოლანდიური ფეხბურთისათვის, მაგრამ ცუდი — „ბარსელონასა“ და თავად მოთამაშეებისთვის. ძალიან მინდა ტყუპების ჩემს გუნდში ხილვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფიფას კანონებით ისინი „აიაქსს“ ეკუთვნიან. იმედს გამოვთქვამ, ჰოლანდიური კლუბის მეპატრონეები ჰუმანურობას გამოიჩენენ და მოთამაშეების სურვილს დააკმაყოფილებენ.“

როგორც ხედავთ, კონფლიქტში ჩართული მხარეები დათმობას არ აპირებენ — დე ბურებს ძველ კლუბში დარჩენა აღარ სურთ და, ბოსმანისა არ იყოს, ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით სამოქალაქო სასამართლოს იმედი აქვთ. „აიაქსი“ და სასამართლო ძმების მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს იშველიებენ და, მართლაც, ამ დოკუმენტებით, წყალი არ გაუვა, დე ბურები ჰოლანდიური კლუბის საკუთრებაა. „ბარსელონა“ კი ბუჩქებში ჩასაფრებულა და ძმებს უკიჟინებს. — ბრძოლა გააგრძელეთ და ჩვენც მოსახმარებლად მზად ვართო. ვნახოთ, რითი დასრულდება ყოველივე. ისე, გამორიცხული არაა, ეს კონფლიქტიც, ბოსმანის საქმისა არ იყოს, ძლიერ გამწვავდეს და ევროკავშირთან ფიფასა და უეფას ისედაც გამწვავებული ურთიერთობა უფრო დაძაბოს.

## „ბეტისსაც“ დიდი ამბიციები აქვს


დენილსონი

„ბარსელონასი“ არ იყოს, ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებას საკმაოდ იმედიანად ელის „რეალ-ბეტისიც“, მით უმეტეს ახლა, როდესაც ამ კლუბში ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა — ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ დენილსონში 35 მილიონი დოლარი გადაიხადა, გასულ კვირას 5 ათასამდე გულშემატკივარი დახვდა რიო-დე-ჟანეიროდან ჩამოფრენილ თვითმფრინავს, რომელშიც „ბეტისის“ ახალბედა იმყოფებოდა. ბრაზილიელმა ვარსკვლავმა აღფრთოვანება ვერ დამალა სევილიელი გულშემატკივრების ასეთი ყურადღების გამო: „თქვენს კლუბს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ მასთან ერთად დიდ წარმატებებს ვიზეიმებ. გუნდი მშვენივრად არის დაბალანსებული მაღალი კლასის ფეხბურთელებით და ამიტომ წლეულს ესპანეთის ჩემპიონატის ტიტულისათვის ვიბრძოლებთ“.

20 წლის ბრაზილიელის შეძენის გარდა „ბეტისში“ ბოლო ხანს სხვა ცვლილებებიც მოხდა. ასე, კლუბის მეპატრონეებმა გუნდის მთავარი მწვრთნელი ლუის არაგონესი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ვინ დაიკავებს მის ადგილს, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ხმები დადის, რომ შემცვლელად როხელიო სოსა მოგვევლინება.

# ტაისონი ამნისტიის მოლოდინშია

მოწინააღმდეგის ყურის მტერმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა კრივში მაიკ ტაისონმა თხოვნით მიმართა საერთაშორისო კრივის ასოციაციას აღუდგინონ ლიცენზია. გასულ კვირას მოეწყო ტაისონის განცხადების პირველი განხილვა, როგორც ვარაუდობენ, რამდენიმე სხდომის შედეგ სახელგანთქმულ მოკრივეს ლიცენზიას მაინც აღუდგენენ. ჯერჯერობით კი ტაისონი განრისხებულია, რატომ აჯანჯლებენ ასე საქმეს ჩინოვნიკებიო.

აღსანიშნავია, რომ თავისი განცხადების პირველ განხილვაზე ტაისონი მეტად ზრდილობიანად იქცეოდა და მორჩილად იძლეოდა პასუხებს. იტყობინებიან, რომ საუბარი ძირითადად მაიკის ცხოვრების ორ მომენტს ეხებოდა: პირველი, როდესაც მან 1992 წელს ქალი გააუპატიურა და სამწლინახევრით ციხეში მოხვდა, მეორე კი, ჰოლიფილდის მოკბეჩილ ყურს. ტაისონმა პასუხად განაცხადა, რომ ორივე ამ მომენტმა მძიმედ იმოქმედა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და გელწრფელად ინანიებს თავის საქციელს.

ტაისონის საქმის შემდგომი განხილვა 6 აგვისტოს მოეწყობა. მიმომხილველთა აზრით, მოკრივის თხოვნას უთუოდ დააკმაყოფილებენ, ვინაიდან ტაისონის კრივში დაბრუნება დიდძალ შემოსავალს მოუტანს პროფესიონალურ კრივში დასაქმებულ მოხელეებს. ასე რომ, გამორიცხული არაა მალე ვიხილოთ ჰოლიფილდ-ტაისონის მატჩ-რევანში.

## ჭადრაკი მიმოწერით ნაკლებად გამოადგა

მიმოწერითი ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ვისაც უშუალოდ ტურნირებში თამაშის საშუალება არა აქვს, იგი სწორედ მიმოწერით შეჯიბრებებში მონაწილეობს, სადაც შეიძლება ერთ სვლაზე თუნდაც იფიქრო... მთელი კვირა!

მიმოწერითი და პრაქტიკული ჭადრაკი, ცხადია მეტად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომაც, ვინც შეეჩვია მიმოწერით თამაშს, ძალიან უჭირთ, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივ შეჯიბრებებში მონაწილეობა.

ამ დღეებში ოტავაში დამთავრდა კანადის ღია პირველობა. I-IV ადგილები გაიყვეს ევგენი პროკოპჩუკმა (რუსეთი), დმიტრი ტემკინმა, მიხაილ ორატოვსკიმ (ორივე — ისრაელი) და კევინ სპრაგეტმა (კანადა).

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონს მიმოწერით ჭადრაკში გრიგორი სანაკოევს (რუსეთი) მან მხოლოდ 49-ე ადგილი გაიყო!

## ესოდენ გულუხვი პრეზიდენტი

ამას წინათ მოსკოვის „64-საჭადრაკო-მიმოხილვას" დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა. საზეიმო საღამოს დროს წლის №1 მოჭადრაკის ჯილდო „ოსკარი" (რომლის შერჩევაში ჩვენი გაზეთიც მონაწილეობს ხოლმე) გადაეცა გამოჩენილ ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდს.

საზეიმო საღამოზე მონაწილეობდა ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი. მისი განცხადებით, ესოდენ კარგი ჟურნალი თვეში ერთხელ კი არა, ორჯერ უნდა გამოდიოდეს და საამისოდ ყოველნაირი ფინანსური დახმარება აღუთქვა რედაქციას, ხოლო მისი მთავარი რედაქტორი ალექსანდრ როშალი უცხოური მანქანით დააჯილდოვა.

## ბლიცის დიდი სპეციალისტი

იუდით პოლგარი ელვისებური ჭადრაკის (ბლიცის) დიდი მოყვარული და სპეციალისტია. ნიუ-იორკში თავის დასთან, ჟუჟასთან ყოფნისას, რომლის ერთ-ერთი მწვრთნელიც არის, იუდითმა მონაწილეობა მიიღო დიდ შეჯიბრება-ბლიცში, სადაც თითოეულ მოჭადრაკეს მთელი პარტიისათვის მხოლოდ 5 წუთი ეძლევა. ტურნირში თამაშობდნენ დიდოსტატები ბორის გულკო, მაქს დლუგი, ჟოელ ბენჯამინი, ჟუჟა პოლგარი და სხვები.

პირველი ადგილი დაიკავა იუდით პოლგარმა, რომელმაც 9 პარტიაში 8,5 ქულა მოაგროვა.

## ორივე ებრაელებს დარჩათ

ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში, რომელიც დრეზდენში (გერმანია) გაიმართა, დას. ევროპის ქვეყნების და ისრაელის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ (შვეიცარიული სისტემით 11 ტურად). დებულების თანახმად, ორი გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას იღებდა, რომელიც გაისად ოლიმპიური სისტემით გაიმართება.

ორივე ეს ადგილი ისრაელის წარმომადგენლებს დარჩათ: დიდოსტატებმა მაშა კლინოვამ და ელა პიტამმა 8-8 ქულა მოაგროვეს.

## გიორგი დევდარიანი



გარდაიცვალა ქართული სპორტის ვეტერანი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტი გიორგი დევდარიანი.

საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ, როგორც აკრობატიკაში სპორტის ოსტატმა, ქვეყნის პირველობების მრავალგზის ჩემპიონმა და ამასთან, სპორტული მოძრაობის ფინანსური საფუძვლების სპეციალისტმა, მთელი თავისი ცოდნა და პედაგოგიური მოღვაწეობა დაუკავშირა აკადემიის სტუდენტთა შეიარაღებას სპორტული მოძრაობის თანამედროვე ფინანსური პრობლემების თეორიით. ამავე თეორიის საკითხებს ეძღვნებოდა მის მიერ შესრულებული მრავალი მეთოდური ნაშრომი.

გიორგი დევდარიანი გამოირჩეოდა მაღალი ერუდიციით, ადამიანებთან უაღრესად კეთილი ურთიერთობით. სხვაგვარად არ შეიძლებოდა: მისი მამა ხარიტონი — დავით მეხუთე, წლების მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, შვილი — ნანა დევდარიანი კი, საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო.

უაღრესად უანგარო, კეთილშობილი და ენერგიული პიროვნებისა და პედაგოგის, სტუდენტი-ახალგაზრდობის საყვარელი აღმზრდელის გიორგი დევდარიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მისი კოლეგების, სპორტული თანამებრძოლებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

---

ქ.თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს მერიის ვეტერინარიის სამსახურის უფროსს ნუკრი გუგუშვილს მამის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი სამძიმარს უცხადებს ვეტერან მორაგბეს ნუგზარ ბუგიანიშვილს დედის და საქართველოს ნაკრების წევრის გიორგი ბუგიანიშვილის ბებიის

ნინო

ოქელაშვილ-ბუგიანიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „გამომცემლობა" სამშობლოს კანცელარიის გამგე

ნათელა ედიბარაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მერანი, რომელსაც „გუფელდი" ჰქვია!

ცნობილი დიდოსტატი, ედუარდ გუფელდი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თბილისში ცხოვრობდა, ახლა აშშ-შია და ფიდეს დავალებით მთელ მსოფლიოში მოგზაურობს თამაშის პოპულარიზაციის მიზნით, ძირითადად იმ ქვეყნებში, სადაც ნაკლებად არის განვითარებული ჭადრაკი.

როგორც გუფელდმა მოსკოვის „64"-ის რედაქციას აცნობა, იგი მალაიზიის ერთ-ერთ ქალაქში იპოდრომზე მიიწვიეს, სადაც გასაოცარ ამბავს წააწყდა: ცხენებს ჰქვიათ „ფიშერი", „კატალონური", „კარპოვი", „ესპანური", „ბოტვინიკი", „ტალი", „სპასკი", „კაპაბლანკა", „პეტროსიანი" და „კასპაროვი"!

ერთ-ერთ ცხენს ერქვა... „გუფელდი"! აი რამდენიმე ნაწყვეტი იქაური გაზეთებიდან:

„მხედარმა, რომელიც შავ-თეთრ კუბოკრულ სამოსში იყო გამოწყობილი და სამწლიან „გუფელდზე" იჯდა, დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა".

„გუფელდი" 100 ათასი დოლარი ღირს, მას, ისევე, როგორც ცხენების დიდ უმრავლესობას, დატო ტანმა ასეთი სახელი იმიტომ დაარქვა, რომ ძალიან უყვარს... ჭადრაკი! მას თვალები პირდაპირ გაუბრწყინდება ხოლმე, როცა „გუფელდზე" ლაპარაკობს."

„გუფელდი მსხვილი, ახალგაზრდა ცხენია და როცა დატო ტანს ვუთხარით, რომ ცხენის კასტრირების დრო დადგა, მან უარი თქვა: „არა, ეს ჩემი გუფელდია!"

## სპორტი ცისფერ ეკრანზე




**4 აგვისტო, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (22.20). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (0.30). ***HTB плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (7.05; 15.10). კრივი (8.15; 0.10). მძლეოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი (9,10; 18.00). ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (15.25). გავიხსენოთ საფრანგეთი-98 (13.00; 21.35). ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა (10.30; 15.30). სინქრონული ცურვა (11.30), ფეხბურთი (12.30; 14.00; 0.45). ჩოგბურთი (17.00; 21.00).

**5 აგვისტო, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (10.45). ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (7.30; 23.25). მძლეოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი (9.10; 18.30). გავიხსენოთ საფრანგეთი-98 (13.05; 21.15). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30; 18.30). წყალთხილამურები (14.30). აფროსნობა (15.00). გოლფი (15.30). ჩოგბურთი (16.30; 17.00; 23.45). მძლეოსნობა (20.45). ველოსპორტი (0.45).

**6 აგვისტო, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი: „დინამო" (თბილისი) – არსენალი (თბილისი) (18.00). ***II არხი.*** ავტოსპორტი (20.00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** გავიხსენოთ საფრანგეთი-98. კოლუმბია – ინგლისი (22.15). ***რუსეთის ტელევიზია. HTB плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.05; 14.45). „ფიფას ჟურნალი" (7.45). მძლეოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი (9.10). გავიხსენოთ საფრანგეთი-98 (12.45; 19.05). გოლფი (15.10). ფიგურული ციგურაობა (17.40). ჩოგბურთი (21.15). ავტოსპორტი (21.45). ***EUROSPORT.*** გოლფი (10.30). ცხენოსნობა (11.30). სინქრონული ცურვა (12.30). მძლეოსნობა (13.00; 18.30). კარტინგი (14.30). მოტოსპორტი (15.30; 2.00). ჩოგბურთი (17.00; 21.00). ფეხბურთი (20.00). ტრიატლონი (23.00). ბოულინგი (1.00).

**7 აგვისტო, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (21.20). ***II არხი.*** რაგბი (20.00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** ავტოსპორტი (9.10). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (0.15). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (18.25). ***HTB плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილები (7.05; 14.45). ჩოგბურთი (8.15). ავტოსპორტი (9.10; 21.15), ველოსპორტი (10.05; 19.00). გავიხსენოთ საფრანგეთი-98 (12.10; 22.10). კრივი (14.00; 0.10). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10.30). სინქრონული ცურვა (11.00). ფორმულა-3000 (12.00). ფეხბურთი (13.00; 14.15; 22.45). მოტოსპორტი (15.15). მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (16.15; 1.45). ჩოგბურთი (17.45; 19.00; 21.00).

**8 აგვისტო, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია: რუსთავი-2.*** „გარი ლინეკერის ოქროს ბუცები" (20.30). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***რუსეთის ტელევიზია ORT-1.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი: „სპარტაკი" – „ალანია" (16.55). მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (23.45). ***PTP.*** ავტოსპორტი (1.45). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (1.00). ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (9.40). კრივი (11.10). ველოსპორტი (12.15). „ფიფას ჟურნალი" (14.15). ფრენბურთის გაკვეთილები (15.15). გავიხსენოთ საფრანგეთი-98 (15.30). „ფიფას ჟურნალი" (21.20). რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (19.00). მძლეოსნობა (21.50). ***EUROSPORT.*** ველორბოლა (12.00; 20.00). ავტოსპორტი (14.00). ფეხბურთი (15.00). ჩოგბურთი (21.00; 2.30). მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (23.00; 23.30). კრივი (1.00).

**9 აგვისტო, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „პარიზის ცის ქვეშ" (20.00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები". (18.15). ***ტელეკომპანია VII არხი.*** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „როტორი" – „ლოკომოტივი" (9.55). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალი (23.45). ***TV-6.*** კვირის სპორტი (16.20). ***HTB плюс спорт.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.55; 12.40). ველოსპორტი (13.10). საჭადრაკო მიმოხილვა (15.25). გავიხსენოთ საფრანგეთი-98 (15.55; 21.55). რუსეთის ჩემპიონატი ცურვაში (17.55). ნბა-ს ჩემპიონატი (21.20). ავტოსპორტი (0.00). ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა (11.00). ავტოსპორტი (12.00; 13.00; 0.00). მოტოსპორტი (14.00; 20.00). ველოსპორტი (17.00). გოლფი (18.00). კალათბურთი (21.00). კრივი (23.00). ჩოგბურთი (2.00).













## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ნავის სახეობა სანიჩბოსნო სპორტში, 5. კრივის არენა, 10. ავსტრიელი ჩოგბურთელი ქალი, 17. ჰოლანდიელი [illegible] მცველი (ფოტო), 20. „დეპორტივოს" ბრაზილიელი [illegible] 25. უკრაინელი დიდოსტატი ვაჟი (ფოტო), 27. სა[illegible] საფეხბურთო ნაკრების მცველი, 30. წყალმოთხილამ[illegible] სპეციალური დაფა სასრიალოდ, 32. ჰოლანდიე[illegible] ჩოგბურთელი ვაჟი, 39. ქართველი დიდოსტატი ქალი, 39. აშშ საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი. 45. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი.

**შვეულად** 1. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 2. წარსულში გამოჩენილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 4. ამჟამად ამერიკაში მოთამაშე იტალიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 11. „სკუადრა აძურას" მეკარე, 12. მთამსვლელთა სპეციალური ფეხსაცმელი, 15. ცნობილი ქართველი აკრობატი ქალი (ფოტო) 16. ახლო წარსულში რუსეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი, 18. 80-იანი წლების თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 22. აზიის ორგზის [illegible] ქვეყანა ფეხბურთში, 36. 60-იანი წლების „მილანისა" [illegible] საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 37. წარსულში [illegible] ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, ამჟამად ელჩი, 38. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი.

**დიაგონალურად:** 6-19, საუკუნის დასაწყისში ინგლისელი ბიზნესმენი, რომლის ინიციატივით დაარსდა ქართული საფეხბურთო გუნდი, 7-21, წარსულში ცნობილი ქართველი წყალბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 8-26, სპორტული ნავების კლასი, 9-26, ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 13-29. „რეალის" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 14-28. ნავის სახეობა სანიჩბოსნო სპორტში, 23-35, „ფიორენტინას" პორტუგალიელი ნახევარმცველი რუი..., 24-34, ცრუ მოძრაობა სპორტში, 31-42, 80-იანი წლების ცნობილი ჩეხი ფეხბურთელი, 34-43 „კაიზესლაუტერნის" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 40-26, ჭადრაკში მატჩის განმეორებით ჩატარება, 41-26, მსოფლიო ექს-ჩემპიონი ჩინელი დიდოსტატი ქალი (ფოტო).

შეადგინა დიმა ჯიჯელავამ (თბილისი)

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ბლაგიძე, 5. აბაშიძე, 7. იასალდე, 11. კონტი, 12. „ბრედა", 14. ალეზი, 15. ბრიტო, 20. გვახარია, 21. ცერცვაძე, 22. ონეგა, 23. ულმში, 24. სამარანჩი, 26. ვილი, 27. პინტუ, 28. ვიალი, 30. იერო, 32. „სპარტა", 33. ისინდი, 35. ტალტსი, 36. ალბერი. 37. სვანი, 38. „ოდიში", 39. ერანიო, 41. ცერარი, 42. სელეში, 44. გრივსი, 49. რივერა, 50. ორტერი, 51. ეფენბერგი, 52. ასპრილია, 54. სარბიელი, 57. ტრამპლინი, 59. ინდურაინი, 61. ბრასი, 63. ამორო, 65. „სანტოსი", 66. ატლანტა, 67. რიმე, 68. კლეი, 70. საკანდელიძე, 73. „ბრეშია", 74. ცვეიბა, 75. [illegible]ორაშვილი, 77. კრისტი. 78. იაშინი, 79. ჩიქვანაია,

**შვეულად:** 1. რაი, 2. „აია", 3. ბენე, 4. ევვე, 6. ბეტეგა, 8. დირსეუ, 9. ფონტენი, 10. სტაილზი, 13. არახამია, 14. აფციაური, 16. ბლოხინი, 17. სალინასი, 18. სალდანია, 19. ირიარტე, 24. სულაქველიძე, 25. ივანიშევიჩი, 27. პლატინი, 29. ირიბარი, 31. მაურო, 34. ერერა, 40. „ოსკარი", 41. „ციბონა", 43. ივანოვი, 44. გერეტსი, 45, გროსი, 46. ოვერატი, 47. „სევილია", 48. ვიოლა, 53. ალპინისტი, 54. სპრინტერი, 55. საბო, 56. ფლოე, 58. „არსენალი", 60. ივანიცკი, 62. სიმოესი, 64, მალდინი, 67. „რიბოკი", 69. იტალია, 71. კეგლი, 72. ილინი, 76. „არაუ",

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლe5!
1. ...მფc5 2. მფc3 მფab5.
3. კb7 მფc5 4. ლc6X.
3. ...მფa5 (მფa4) 4. ლa6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე